

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 55<sup>2</sup> მუხლისა და 56<sup>1</sup> მუხლის მე-3 პუნქტის აღსრულების სახელმძღვანელო პრინციპები

სარჩევი

ზოგადი პრინციპები.....	2
„მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 55 <sup>2</sup> მუხლის განმარტება .....	5
1. საკანონმდებლო რეგულირება .....	5
1.1. შინაარსობრივი მოთხოვნები .....	5
1.2. პროცედურული ნორმები .....	6
2. შინაარსობრივი რეგულირების ძირითადი მახასიათებლები .....	8
2.1. მასალა, რომელზეც ვრცელდება აკრძალვა .....	8
2.2. სუბიექტები, ვისზეც ვრცელდება აკრძალვა .....	8
2.3. მასალის კატეგორია .....	9
2.4. პირდაპირ ეთერში განთავსებული მასალა .....	11
3. სიძულვილის ენა.....	12
3.1. პირის ან პირთა ჯგუფის მიმართ ძალადობის ან სიძულვილის წაქეზება.....	13
3.2. ნიშნები .....	15
3.3. გამონაკლისები .....	16
3.4. კრიტერიუმების კუმულაციურობა/სავალდებულოობა.....	17
4. ტერორიზმისკენ მოწოდება.....	17
5. აღსრულების პროცედურა.....	18
5.1. დაინტერესებული პირის საჩივარი .....	18
5.2. რეაგირება კომისიის ინიციატივით.....	19
„მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 56 <sup>1</sup> მუხლის მე-3 პუნქტის განმარტება .....	20
1. საკანონმდებლო რეგულირება .....	20
1.1. პროცედურული ნორმები .....	20

2.	რეგულირების სფერო.....	22
3.	უხამსობის განმარტება.....	23
3.1.	ეთიკის ნორმებთან წინააღმდეგობა .....	23
3.2.	ღირებულება .....	24
	პასუხისმგებლობის დაკისრების სტანდარტები .....	25
1.	საკანონმდებლო რეგულირება .....	25
2.	პასუხისმგებლობის განსაზღვრის ზოგადი კრიტერიუმები.....	28
3.	პასუხისმგებლობის განსაზღვრის ეტაპები .....	29
3.1.	პასუხისმგებლობის ზოგადი საზღვრების განსაზღვრა.....	30
3.2.	პასუხისმგებლობის ზომის ინდივიდუალური განსაზღვრა.....	34

*პროექტი*

**საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 55<sup>2</sup> მუხლისა და 56<sup>1</sup> მუხლის მე-3 პუნქტის აღსრულების სახელმძღვანელო პრინციპები<sup>1</sup>**

„მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 55<sup>2</sup> მუხლისა და 56<sup>1</sup> მუხლის მე-3 პუნქტის აღსრულების სახელმძღვანელო პრინციპები (შემდგომში - სახელმძღვანელო პრინციპები, სახელმძღვანელო) მეთოდოლოგიური ხასიათის საინფორმაციო-სარეკომენდაციო დოკუმენტია, რომლითაც ხელმძღვანელობს საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია (შემდგომში: „კომისია“) და რომელიც ემსახურება მედიამომსახურების მიმწოდებელი სუბიექტებისთვის კანონის განჭვრეტადობის უზრუნველყოფას. წინამდებარე სახელმძღვანელოს საინფორმაციო-სარეკომენდაციო ხასიათი აქვს, ემსახურება კომისიის კანონმდებლობის განმარტების თაობაზე ხედვის ილუსტრირებას და არ აქვს მხოლოდ, სავალდებულო იურიდიული ძალა.

**თავი I.  
ზოგადი პრინციპები**

„მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, მედიამომსახურებისა და ვიდეოგაზიარების პლატფორმის მომსახურების სფეროებში მოქმედი საქართველოს კანონმდებლობის ინტერპრეტაცია უნდა მოხდეს „ადამიანის

---

<sup>1</sup> დამტკიცებულია საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2024 წლის xxx N<sup>o</sup>x სხდომაზე საოქმო გადაწყვეტილებით

უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის შესახებ“ ევროპის კონვენციის, ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოს პრაქტიკისა და საქართველოსთვის იურიდიული ძალის მქონე სხვა საერთაშორისო სამართლებრივი ნორმების შესაბამისად. ამრიგად, კომისია საკუთარი უფლებამოსილებების განხორციელებისას საქართველოს კანონმდებლობას განმარტავს ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოს პრაქტიკის გათვალისწინებით.

წინამდებარე დოკუმენტით გათვალისწინებული საკითხების განმარტება კომისიის მიერ სწორედ „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის შესახებ“ ევროპის კონვენციისა და ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოს პრაქტიკის გათვალისწინებით მოხდება. ამ თვალსაზრისით უადრესად მნიშვნელოვანია მხედველობაში იქნეს მიღებული კონვენციის მე-10 მუხლით გარანტირებული გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვისათვის დადგენილი სტანდარტები.

სტრასბურგის სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით, კონვენციის მე-10 მუხლით გარანტირებული გამოხატვის თავისუფლებით დაცულია არა მხოლოდ ის „ინფორმაცია“ და „იდეები“, რომლებიც სასურველად არის მიღებული ან აღიქმება როგორც უწყინარი და ინდიფერენტული, არამედ - ისეთებიც, რომელიც შეურაცხყოფელი, შემაწუხებელი და შოკისმომგვრელია სახელმწიფოსთვის ან მოსახლეობის რომელიმე ნაწილისთვის.<sup>2</sup> ამასთან, სასამართლო პრაქტიკა არ გამორიცხავს ასეთი ტიპის ინფორმაციისა და იდეების გავრცელების შეზღუდვას, როდესაც ილახება სხვა ადამიანის უფლებები და მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი ინტერესები. ამასთან, გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა უნდა აკმაყოფილებდეს ე.წ. სამსაფეხურიან ტესტს:

- (1) შეზღუდვა დაწესებულია კანონით;
- (2) შეზღუდვა ემსახურება კანონიერ მიზანს;
- (3) შეზღუდვა დასახული მიზნის მისაღწევად აუცილებელი და პროპორციულია.<sup>3</sup>

წინამდებარე დოკუმენტით გათვალისწინებული შინაარსობრივი რეგულაციები დაწესებულია „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონით. შესაბამისად, ამ კუთხით შესრულებულია გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის მართლზომიერების პირველი მოთხოვნა შეზღუდვის კანონით დაწესებასთან დაკავშირებით. გარდა ამისა, კომისია, როგორც კანონმდებლობის აღმასრულებელი ადმინისტრაციული ორგანო, ვერ შეაფასებს უშუალოდ კანონით დაწესებული გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის პროპორციულობას. კომისია გამოხატვის თავისუფლების მოთხოვნებს გამოიყენებს მისი კომპეტენციის ფარგლებში სამართალშეფარდებისას. აქედან გამომდინარე, კომისიამ აღნიშნული საკანონმდებლო ნორმების განმარტებისა და აღსრულების პროცესში უნდა განსაზღვროს გამოხატვის

<sup>2</sup> ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე „ჰენდისაიდი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ“, საჩივარი No. 5493/72, § 49

<sup>3</sup> ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლო, ადამიანის უფლებათა ევროპის კონვენციის მე-10 მუხლის სახელმძღვანელო, 2020, <https://rm.coe.int/guide-on-article-10-freedom-of-expression-eng/native/1680ad61d6>

თავისუფლების შეზღუდვის ტექსტის დანარჩენი მოთხოვნები და უზრუნველყოს გამოხატვის თავისუფლებისა და შეპირისპირებული ინტერესების სამართლიანი ბალანსი.

საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა შეფასდეს პროგრამის განთავსებით გამოწვეული უფლების დარღვევა (ან დარღვევის საფრთხე) და დაუპირისპირდეს იგი გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის აუცილებლობას. უნდა განისაზღვროს გამოხატვის ფორმის და შინაარსის ღირებულება, მისი საზოგადოებრივი მნიშვნელობა და ის ზიანი, რომელიც ამ უფლების რეალიზაციამ გამოიწვია.<sup>4</sup>

წინამდებარე დოკუმენტით გათვალისწინებული შინაარსობრივი რეგულირებების (სიმულვილის ენა, ტერორიზმისკენ მოწოდება) დამრღვევი მასალის განთავსებით, შესაძლებელია, დაზიანდეს მნიშვნელოვანი კერძო და საჯარო ინტერესები:

- ა) პროგრამის/რეკლამის ადრესატების უფლებები - პირის ან იმ პირთა ჯგუფის უფლებები, რომლებსაც უშუალოდ მიემართება პროგრამა ან რომელთა გამოსახულებაც არის გამოყენებული პროგრამაში. დასახელებული სუბიექტების ინტერესები, შესაძლოა, პირდაპირ და უშუალოდ შეიზღუდოს მედიამომსახურების მიმწოდებლების მიერ. მაგალითად, სიმულვილის ენის გავრცელების კონტექსტში აქტუალურია გარკვეული ნიშნით გამორჩეული პირთა ჯგუფის სტიგმატიზების, მათზე ფსიქოლოგიური ზეწოლის, მათ მიმართ ფიზიკური და ფსიქიკური ძალადობისა და დისკრიმინაციის საფრთხეები.
- ბ) მედიამომსახურების აუდიტორიის უფლებები - მედიამომსახურებების სფეროში კანონმდებლობის აღსრულებისას კომისიამ განსაკუთრებულად უნდა დაიცვას აუდიტორიის, მსმენელების, მაყურებლების, გამოძახებით აუდიოვიზუალური მედიამომსახურების მომხმარებელთა ძირითადი უფლებები და კანონიერი ინტერესები. აუდიტორიას აქვს უფლება, შესაბამისი სტანდარტების დაცვით იყოს ინფორმირებული საქართველოსა და მსოფლიოში მიმდინარე მოვლენებისა და მათ შესახებ არსებული თვალსაზრისის თაობაზე.
- გ) სხვა საზოგადოებრივი ინტერესები - მაგალითად, ტერორიზმისკენ მოწოდების ფარგლებში განსაკუთრებით აქტუალურია საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვის ინტერესები.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, წინამდებარე დოკუმენტით გათვალისწინებული შინაარსობრივი რეგულირებების აღსრულებისას კომისია ვალდებულია, დაადგინოს გონივრული ბალანსი, ერთ მხრივ, მედიამომსახურების მიმწოდებელთა გამოხატვის თავისუფლებასა და მეორე მხრივ, ზემოთდასახელებულ კერძო და საჯარო ინტერესებს შორის. სწორედ ამ გზით არის შესაძლებელი „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის ნორმების სწორი აღსრულება.

---

<sup>4</sup> იხ. *mutatis mutandis* საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 10 ნოემბრის №1/3/421,422 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები გიორგი ყიფიანი და ავთანდილ უნგიაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-6

ინტერესთა ბალანსის პროცესში მნიშვნელოვანია მხედველობაში იქნეს მიღებული ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს დამკვიდრებული პრაქტიკა, რომლის თანახმადაც, გამოხატვის თავისუფლება განსაკუთრებით მაღალი დაცვის გარანტიით სარგებლობს მაშინ, როდესაც იგი საჯარო ინტერესის საგანს შეეხება<sup>5</sup>. ამავდროულად, ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით, გამოხატვის თავისუფლების სტანდარტების იდენტიფიცირებისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება ინფორმაციისა თუ იდეების გავრცელების მედიუმს. სტრასბურგის სასამართლო განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს იმ ფაქტს, რომ რადიოსა და ტელევიზიას, როგორც ინტიმურ, ოჯახურ გარემოში ინფორმაციის მიღებისა და გართობის საშუალებებს აქვთ მყისიერი, ინვაზიური და ძლიერი საზოგადოებრივი ეფექტი.<sup>6</sup> სტრასბურგის სასამართლოს განმარტებით, ჟურნალისტის „მოვალეობების და პასუხისმგებლობის“ განსაზღვრისას შესაბამისი მედიუმის პოტენციური გავლენა მნიშვნელოვანი ფაქტორია და ჩვეულებრივ მიჩნეულია, რომ აუდიოვიზუალურ მედიას ხშირად აქვს უფრო მყისიერი და ძლიერი ეფექტი, ვიდრე ბეჭდურ მედიას. აუდიოვიზუალურ მედიას აქვს გამოსახულებების მეშვეობით ინფორმაციის გადაცემის ისეთი საშუალებები, რომლებიც ბეჭდურ მედიას არ გააჩნია.<sup>7</sup>

წინამდებარე დოკუმენტით გათვალისწინებული კანონის მოთხოვნების აღსრულებისას კომისია იხელმძღვანელებს მოყვანილი პრინციპებისა და სტანდარტების შესაბამისად.

## თავი II.

### „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 55<sup>2</sup> მუხლის განმარტება

#### 1. საკანონმდებლო რეგულირება

##### 1.1. შინაარსობრივი მოთხოვნები

1. „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 55<sup>2</sup> მუხლი:

„მუხლი 55<sup>2</sup>. სიძულვილის ენის და ტერორიზმისკენ მოწოდების შემცველი პროგრამისა და რეკლამის გავრცელების აკრძალვა

<sup>5</sup> Bédat v. Switzerland, [GC], no. 56925/08, § 49

<sup>6</sup> Jersild v. Denmark, no. 15890/89, § 31, Murphy v. Ireland, no. 44179/98, §§ 69, 74; Animal Defenders International v. UK, [GC], no. 48876/08, § 119, Centro Europa 7 S.r.l. and Di Stefano v. Italy, [GC], no. 38433/09, § 132)

<sup>7</sup> Jersild v. Denmark, no. 15890/89, § 31

1. აკრძალულია ისეთი პროგრამის ან რეკლამის გავრცელება, რომელიც ახდენს პირის ან პირთა ჯგუფის მიმართ შეზღუდული შესაძლებლობის, ეთნიკური, სოციალური წარმომავლობის, გენდერის, სქესის, გენდერული მიკუთვნების, ეროვნების, რასის, რელიგიის ან რწმენის, სექსუალური ორიენტაციის, კანის ფერის, გენეტიკური მახასიათებლების, ენის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულების, ეროვნული უმცირესობის წევრობის, ქონების, დაბადების ადგილის ან ასაკის ნიშნის მიხედვით ძალადობის ან სიძულვილის წაქეზებას (სიძულვილის ენა), გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს აუცილებელია პროგრამის კონტენტის გათვალისწინებით და არ არსებობს სიძულვილის ენის გავრცელების განზრახვა. პროგრამა ან რეკლამა არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს ამ პუნქტით გათვალისწინებული სიძულვილის ენის შემცველად მხოლოდ მისი შეურაცხმყოფელი ან კრიტიკული შინაარსის გამო.
2. აკრძალულია ისეთი პროგრამის ან რეკლამის გავრცელება, რომელიც შეიცავს ტერორიზმისკენ მოწოდებას.“

## 1.2. პროცედურული ნორმები

დასახელებული შინაარსობრივი მოთხოვნების დარღვევაზე კომისია რეაგირებს შემდეგი საკანონმდებლო ნორმების გათვალისწინებით:

1. „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლი:

### „მუხლი 14. საჩივრები

1. მაუწყებელი ვალდებულია ქცევის კოდექსის საფუძველზე შექმნას მაუწყებლის თვითრეგულირების ეფექტიანი მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს საჩივრების განხილვასა და მათზე დროულ და დასაბუთებულ რეაგირებას.
2. მაუწყებლის თვითრეგულირების მექანიზმი მოიცავს მაუწყებლის თვითრეგულირების ორგანოს და მაუწყებლის თვითრეგულირების სააპელაციო ორგანოს.
3. მაუწყებლის თვითრეგულირების ორგანოს გადაწყვეტილება ქცევის კოდექსით დადგენილი წესით საჩივრდება მაუწყებლის თვითრეგულირების სააპელაციო ორგანოში, რომელსაც ქმნის მაუწყებელი ან მაუწყებელთა გაერთიანება და რომელიც ფუნქციონირებს ქცევის კოდექსის შესაბამისად. მაუწყებლის თვითრეგულირების სააპელაციო ორგანოს წევრები არ შეიძლება იყვნენ საჯარო მოხელეები ან პოლიტიკური პარტიის წევრები. მათ არ უნდა ჰქონდეთ მიღებული მონაწილეობა გასაჩივრებული გადაწყვეტილების მიღებაში. მაუწყებლის თვითრეგულირების სააპელაციო ორგანო დაკომპლექტებული უნდა იყოს დამოუკიდებელი, მიუკერძოებელი და კომპეტენტური პირებით.
4. დაინტერესებულ პირს უფლება აქვს, ამ კანონის 55<sup>2</sup> მუხლის მოთხოვნების დარღვევასთან დაკავშირებით მაუწყებლის თვითრეგულირების ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გაასაჩივროს კომისიაში.
5. მაუწყებლის მიერ საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნების (გარდა ამ კანონის 52-ე, 54-ე, 56-ე და 59-ე მუხლებით გათვალისწინებული ნორმებისა), აგრეთვე სალიცენზიო

პირობებისა და ავტორიზაციის პირობების დარღვევის შემთხვევაში დაინტერესებულ პირს უფლება აქვს, მიმართოს კომისიას.

6. მაუწყებლის მიერ ამ კანონის 52-ე, 54-ე, 56-ე და 59-ე მუხლებით გათვალისწინებული ნორმების დარღვევაზე რეაგირება შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული მაუწყებლის თვითრეგულირების მექანიზმის ფარგლებში.

7. საჩივრის მიღებიდან 7 სამუშაო დღის განმავლობაში კომისია იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას საჩივრის განსახილველად მიღების ან საჩივარზე უარის თქმის შესახებ და დაუყოვნებლივ ატყობინებს ამის თაობაზე მომჩივანს.

8. მომხმარებელთა განცხადებებსა და საჩივრებს კომისია განიხილავს ზეპირი მოსმენით, ფორმალური ადმინისტრაციული წარმოების წესით, გარდა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი გამონაკლისებისა და იმ შემთხვევებისა, როდესაც სადავო საკითხების გადაწყვეტა არ მოითხოვს ორგანიზებული პროცედურების განხორციელებას. მომხმარებელთა იმ განცხადებებსა და საჩივრებს, რომლებიც შეეხება პირთა ფართო წრის ინტერესებს, კომისია განიხილავს მხოლოდ საჯარო ადმინისტრაციული წარმოების წესით.

9. თუ დადასტურდება დარღვევის ფაქტი, კომისია უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება დეკლარაციის შესახებ. მაუწყებელი ვალდებულია 5 დღის ვადაში საკუთარ ეთერში საუკეთესო დროს გადასცეს დეკლარაცია მის მიერ საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნების, სალიცენზიო/ავტორიზაციის პირობების დარღვევის შესახებ.

10. დარღვევის სიმძიმის გათვალისწინებით, კომისია უფლებამოსილია განიხილოს მაუწყებლის მიმართ შესაბამისი სანქციის გამოყენების საკითხი.

11. ამ მუხლის მოქმედება ვრცელდება აგრეთვე გამოძახებით აუდიოვიზუალური მედიამომსახურების მიმწოდებელზე.

12. დაინტერესებული პირის მიერ ამ მუხლის მე-4 ან მე-5 პუნქტით გათვალისწინებულ საკითხზე სასამართლოსთვის მიმართვის შემთხვევაში სარჩელი დაუშვებელია, თუ მოსარჩელემ დადგენილი წესით არ გამოიყენა იმავე საკითხზე კომისიისთვის მიმართვის შესაძლებლობა.“

2. „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 59<sup>1</sup> მუხლი:

„მუხლი 59<sup>1</sup>. დარღვევაზე რეაგირება

1. ამ კანონის 52-ე, 54-ე, 56-ე და 59-ე მუხლებით გათვალისწინებული ნორმების, აგრეთვე ქვევის კოდექსით დადგენილი ეთიკური ნორმებისა და პროფესიული სტანდარტების დარღვევაზე რეაგირება შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ ამ კანონის მე-14 მუხლით განსაზღვრული მაუწყებლის თვითრეგულირების მექანიზმის ფარგლებში.

2. ამ კანონის 52-ე, 54-ე, 56-ე და 59-ე მუხლებით გათვალისწინებული ნორმების, ქვევის კოდექსით დადგენილი ეთიკური ნორმებისა და პროფესიული სტანდარტების ინტერპრეტაციასთან დაკავშირებული საკითხების, აგრეთვე ამ კანონის მე-14 მუხლით განსაზღვრული მაუწყებლის თვითრეგულირების მექანიზმის ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილებების სასამართლოში, კომისიაში ან სხვა ადმინისტრაციულ ორგანოში გასაჩივრება დაუშვებელია, გარდა ამ კანონის მე-14 მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა.

3. კომისია ამ კანონის 56<sup>1</sup> ან 56<sup>2</sup> მუხლით დადგენილი მოთხოვნების დარღვევაზე რეაგირებას ახდენს ამავე კანონის IX თავით განსაზღვრული პროცედურების დაცვით.

4. ამ კანონის 55<sup>2</sup> მუხლის მოთხოვნათა დარღვევით ადამიანის უფლებების შელახვის შემთხვევაში კომისია უფლებამოსილია განახორციელოს შესაბამისი რეაგირება ამ კანონის IX თავით დადგენილი წესით.“

## **2. შინაარსობრივი რეგულირების ძირითადი მახასიათებლები**

### **2.1. მასალა, რომელზეც ვრცელდება აკრძალვა**

„მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 55<sup>2</sup> მუხლის პირველი და მე-2 პუნქტები განსაზღვრავს, რომ აკრძალვა შეეხება ტერორიზმისკენ მოწოდებისა და სიძულვილის ენის შემცველი „პროგრამის ან რეკლამის“ გავრცელებას. „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ც“ ქვეპუნქტის თანახმად, პროგრამა განიმარტება, როგორც „მომრავი გამოსახულებების კრებული, ხმით ან ხმის გარეშე, რომელიც არის ტელემაუწყებლის მიერ ორგანიზებული ქრონოლოგიური განრიგის ან გამოძახებით აუდიოვიზუალური მედიამომსახურების მიმწოდებლის კატალოგის შემადგენელი ინდივიდუალური ნაწილი, მისი ხანგრძლივობის მიუხედავად, აგრეთვე პირდაპირ ან ჩანაწერის მეშვეობით რადიომაუწყებლის მიერ ეთერში ხმით გადაცემული რადიოპროდუქცია. პროგრამებს მიეკუთვნება მხატვრული, ანიმაციური და დოკუმენტური ფილმები, სპორტული ღონისძიებები, საბავშვო პროგრამები, ახალი ამბები, საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროგრამები, ვიდეორგოლები, სერიალები და ა. შ.“, ხოლო ამავე მუხლის „წ“ ქვეპუნქტით რეკლამა არის „კომერციული, სოციალური ან წინასაარჩევნო რეკლამა, გარდა მედიამომსახურების მიმწოდებლის მიერ საკუთარ ან დამოუკიდებელ პროგრამასთან დაკავშირებით გაკეთებული განცხადებისა, რომელიც არის ფიზიკურ პირზე ან იურიდიულ პირზე, საქონელზე, მომსახურებაზე, სამუშაოზე, იდეასა და წამოწყებაზე ნებისმიერი საშუალებითა და ფორმით გავრცელებული ინფორმაცია, რომელიც გამიზნულია პირთა განუსაზღვრელი წრისთვის და ემსახურება ფიზიკური პირისადმი ან იურიდიული პირისადმი, საქონლისადმი, მომსახურებისადმი, სამუშაოსადმი, იდეისა და წამოწყებისადმი ინტერესის აღძვრასა და შენარჩუნებას, აგრეთვე საქონლის, მომსახურების, სამუშაოს, იდეისა და წამოწყების რეალიზაციის ხელშეწყობას“. ამრიგად, შეზღუდვა ეხება ნებისმიერი კატეგორიის მედიამომსახურების პროდუქტს, იქნება ეს - სარედაქციო ხასიათის, თუ კომერციული/სარეკლამო კომუნიკაცია - პროგრამა, ანონსი, რეკლამა.

### **2.2. სუბიექტები, ვისზეც ვრცელდება აკრძალვა**

საკანონმდებლო ნორმა არ აკონკრეტებს სუბიექტს, რომელსაც შეეხება აკრძალვა. ამასთან, როგორც აღინიშნა, ნორმა მიუთითებს „პროგრამის ან რეკლამის“ გავრცელებაზე. „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 70-ე მუხლის პირველი პუნქტის გათვალისწინებით გავრცელებული პროგრამისა და რეკლამის საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობის უზრუნველყოფის ვალდებულება აქვთ



მედიამომსახურების მიმწოდებელ პირებს. შესაბამისად, აკრძალვა ვრცელდება მედიამომსახურების მიმწოდებელ ყველა სუბიექტზე:

ა) მაუწყებლები - ტელემაუწყებლები და რადიომაუწყებლები;

ბ) გამოძახებით აუდიოვიზუალური მედიამომსახურების მიმწოდებელი პირები.

აღსანიშნავია, რომ „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 55<sup>2</sup> მუხლი არ ვრცელდება ვიდეოგაზიარების პლატფორმის მომსახურების მიმწოდებელ პირებზე. „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ს“ ქვეპუნქტით ვიდეოგაზიარების პლატფორმის მომსახურება განმარტებულია როგორც მომსახურება, რომლის ან რომლის განუყოფელი ნაწილის ძირითადი მიზანი ან არსებითი ფუნქციონალი არის ვიდეოგაზიარების პლატფორმის მომსახურების მიმწოდებლის სარედაქციო პასუხისმგებლობის გარეშე, ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელებით ფართო საზოგადოებისთვის პროგრამების ან/და მომხმარებლების გენერირებული ვიდეორგოლების მიწოდება მისი ინფორმირების, გართობის ან განათლების მიზნით. პროგრამების ან/და მომხმარებლების გენერირებული ვიდეორგოლების ორგანიზებას, კერძოდ, ჩვენებას, მონიშვნასა და თანამიმდევრობას, განსაზღვრავს ვიდეოგაზიარების პლატფორმის მომსახურების მიმწოდებელი, მათ შორის, ავტომატური საშუალებებით ან ალგორითმებით. აღნიშნული მომსახურების მიმწოდებლები, ვინაიდან თავად არ იღებენ სარედაქციო გადაწყვეტილებებს ამა თუ იმ პროგრამის/ვიდეორგოლის განთავსების შესახებ, ისინი უშუალოდ გავრცელებისთვის პასუხს არ აგებენ. „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის IV<sup>3</sup> თავის შესაბამისად ვიდეოგაზიარების პლატფორმის მომსახურების მიმწოდებლები პასუხისმგებელი არიან არა გავრცელებული პროგრამების/ვიდეორგოლების შინაარსზე, არამედ იმაზე, რომ განახორციელონ ამ კანონით გათვალისწინებული ღონისძიებები, რომლებიც დაიცავს საზოგადოებას აღნიშნული პლატფორმის მეშვეობით ისეთი ვიდეორგოლის, პროგრამის ან აუდიოვიზუალური სარეკლამო კომუნიკაციის გავრცელებისგან, რომელიც შეიცავს სიძულვილის ენას, ტერორიზმისკენ მოწოდებას და ა.შ. მაგალითად, „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 45<sup>6</sup> მუხლის შესაბამისად, ვიდეოგაზიარების პლატფორმის მომსახურების მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს ვიდეოგაზიარების პლატფორმის მომხმარებლისთვის გამჭვირვალე და მოსახერხებელი მექანიზმების შექმნა და ფუნქციონირება, რათა მომხმარებელმა შეატყობინოს ან მიანიშნოს ვიდეოგაზიარების პლატფორმის მომსახურების მიმწოდებელს მასალის ამ კანონის დარღვევით (მაგალითად, სიძულვილის ენის, ტერორიზმისკენ მოწოდების შემცველი მასალა) განთავსების შესახებ.

### 2.3. მასალის კატეგორია

„მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 55<sup>2</sup> მუხლით განსაზღვრული შინაარსობრივი აკრძალვა (სიძულვილის ენის/ტერორიზმისკენ მოწოდების გავრცელება) შეეხება ნებისმიერი კატეგორიისა და ფორმატის მასალას. კანონი არ აკონკრეტებს პროგრამისა და რეკლამის კატეგორიას. ამრიგად, აკრძალვა (შესაბამისი წინაპირობების არსებობისას) შეეხება ახალი

ამბების, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ, გასართობ, შემეცნებით და ნებისმიერ სხვა ტიპის პროგრამებს (ანონსებს), ისევე როგორც რეკლამის ყველა კატეგორიას - კომერციულ, სოციალურ და წინასაარჩევნო/პოლიტიკურ რეკლამას.

წინასაარჩევნო/პოლიტიკურ რეკლამასთან მიმართებით მნიშვნელოვანია მხედველობაში იქნეს მიღებული საქართველოს უზენაესი სასამართლოს განმარტება. კერძოდ, უზენაესი სასამართლოს ერთ-ერთ განჩინებაში მითითებულია, რომ „საკასაციო სასამართლო არ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებებს და აღნიშნავს, რომ ზემოაღნიშნული დანაწესი<sup>8</sup> უპირობოდ არ გამორიცხავს მაუწყებლის წინდახედულობას ეთერში განათავსოს ნებისმიერი შინაარსის პოლიტიკური რეკლამა. საკასაციო სასამართლოს განმარტებით, მაუწყებელმა ეთერში არ უნდა განათავსოს ისეთი შინაარსის პოლიტიკური რეკლამა, რომელიც ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციით დადგენილ ზოგად მოთხოვნებსა და პრინციპებს. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს კონსტიტუციით დადგენილი ზოგადი მოთხოვნები და პრინციპები ასახულია მოცემული საკითხის მარეგულირებელ საკანონმდებლო ნორმებში ... აღსანიშნავია, რომ „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის VI თავი, რომელიც შედგება 48-ე-59<sup>1</sup>-ე მუხლებისგან, შეეხება ლიცენზიის/ავტორიზაციის პირობებსა და შინაარსობრივ მოთხოვნებს. მაგალითისთვის, მოცემული კანონის 56-ე მუხლი (პროგრამული შეზღუდვა) კრძალავს ომის ნებისმიერი სახით პროპაგანდას (56.1 მუხლი); იკრძალება პორნოგრაფიის, აგრეთვე ადამიანისა და მოქალაქის ღირსებისა და ძირითად უფლებათა შემლახავი ისეთი პროგრამის ან რეკლამის განთავსება, რომელიც შეიცავს უხამსობას (56.4 მუხლი). ასევე გასათვალისწინებელია „რეკლამის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლი, რომელიც შეეხება რეკლამისადმი დადგენილ ზოგად მოთხოვნებს და რომლის მე-8 პუნქტი კრძალავს არასათანადო რეკლამის განთავსებასა და გავრცელებას. იგი ჩადენილი ქმედების, საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხისა და ხასიათის შესაბამისად იწვევს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას. ამავე მუხლის მე-11 პუნქტის თანახმად, რეკლამა არ უნდა უზიძვებდეს მოქალაქეებს ძალადობის, აგრესიისა და ქაოსისაკენ, არ უნდა მოუწოდებდეს მათ საშიში ქმედებისაკენ, რომელსაც შეუძლია ზიანი მიაყენოს ადამიანის ჯანმრთელობას ან დაემუქროს მის უსაფრთხოებას. ასევე საყურადღებოა საარჩევნო კოდექსის 45-ე მუხლი, რომელიც შეეხება წინასაარჩევნო კამპანიას (აგიტაციას). მოცემული მუხლის მე-3 პუნქტის მეორე წინადადების თანახმად, საარჩევნო პროგრამა არ უნდა შეიცავდეს ომისა და ძალადობის პროპაგანდას, არსებული სახელმწიფო და საზოგადოებრივი წყობილების ძალადობით შეცვლისკენ ან დამხობისკენ, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დარღვევისკენ, ეროვნული შუღლისა და მტრობისკენ, რელიგიური და ეთნიკური დაპირისპირებისკენ მოწოდებას.

---

<sup>8</sup> შენიშვნა: საკასაციო სასამართლო მიუთითებს „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 63-ე მუხლის მე-3 პუნქტზე. „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 63-ე მუხლის მე-3 პუნქტი (საქმის განხილვისას მოქმედი რედაქცია): „მაუწყებელი პასუხს არ აგებს წინასაარჩევნო და სოციალური რეკლამების შინაარსისთვის. წინასაარჩევნო და სოციალური რეკლამების შინაარსისთვის პასუხისმგებლობა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ეკისრება შესაბამისი რეკლამის დამკვეთს“.

შესაბამისად, მაუწყებელმა რეკლამის, მათ შორის, პოლიტიკური რეკლამის ეთერში განთავსებამდე მხედველობაში უნდა მიიღოს ზემოაღნიშნული ზოგადი დანაწესები“.<sup>9</sup>

ამრიგად, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიდგომის მიხედვით, წინასაარჩევნო/პოლიტიკური რეკლამის ეთერში განთავსებისთვის მედიამომსახურების მიმწოდებელს შეიძლება დაეკისროს პასუხისმგებლობა თუ იგი ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციით დადგენილ ზოგად მოთხოვნებსა და პრინციპებს. ამასთან, სასამართლოს განმარტებით, საქართველოს კონსტიტუციით დადგენილი ზოგადი მოთხოვნები და პრინციპები ასახულია მოცემული საკითხის მარეგულირებელ საკანონმდებლო ნორმებში. კომისია მიიჩნევს, რომ „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 55<sup>2</sup> მუხლში მოცემული შინაარსობრივი შეზღუდვები (სიძულვილის ენის/ტერორიზმისკენ მოწოდების შემცველი პროგრამისა და რეკლამის აკრძალვა) სწორედ ასეთ ზოგად მოთხოვნებსა და პრინციპებს განეკუთვნება და ასევე ვრცელდება წინასაარჩევნო/პოლიტიკურ რეკლამაზეც. შესაბამისად, მედიამომსახურების მიმწოდებელს დაეკისრება პასუხისმგებლობა, მათ შორის, ამგვარი შინაარსის წინასაარჩევნო/პოლიტიკური რეკლამის გავრცელებისთვის.

#### *2.4. პირდაპირ ეთერში განთავსებული მასალა*

აკრძალვა შეეხება როგორც ჩანაწერის მეშვეობით, ისე - პირდაპირ ეთერში განთავსებულ მასალას, იმის მიუხედავად, აკრძალული შინაარსის გამოხატვას ავრცელებს მედიამომსახურების წარმომადგენელი თუ მესამე პირი მედიამომსახურების მიმწოდებლის მეშვეობით. მაუწყებლის პირდაპირ ეთერში მესამე პირების გავრცელებულ გამოხატვასთან მიმართებით სტანდარტი კომისიას უკვე აქვს დადგენილი არასრულწლოვანთათვის შეუფერებელი პროგრამის გავრცელების აკრძალვის კონტექსტში. კომისიის განმარტებით, „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 56<sup>1</sup> და 56<sup>2</sup> მუხლების გათვალისწინებით მაუწყებელი ვალდებულია გაატაროს გონივრული და ეფექტიანი ღონისძიებები არასრულწლოვანებისთვის მავნე ზეგავლენის მომხდენი ინფორმაციის გავრცელების აღსაკვეთად. ასეთ გონივრულ ღონისძიებად შეიძლება მიჩნეულ იქნეს პროგრამის პირდაპირ ეთერში გადაცემის შეჩერება ან პროგრამის წამყვანის (ან მაუწყებლის სხვა წარმომადგენლის) ინტერვენცია, რომლის ფარგლებშიც წამყვანი შეაწყვეტინებს მესამე პირს (სტუმარს, რესპოდენტს) არასრულწლოვანებისთვის მავნე ზეგავლენის მომხდენი ინფორმაციის გავრცელებას და გაემიჯნება მის შინაარსს. ასეთივე ეფექტურ და გონივრულ საშუალებად შეიძლება ჩაითვალოს სათანადო ტექნოლოგიური გადაწყვეტების გამოყენება, რომლებიც უზრუნველყოფს პირდაპირი ეთერით გასული გადაცემის დაყოვნების შესაძლებლობას (ე.წ. „Broadcast delay“) და მაუწყებელს შესაძლებლობას მისცემს რეალურ დროში ჩაერიოს და ეთერში არ განათავსოს ისეთი მასალა, რომელიც არ აკმაყოფილებს კანონის მოთხოვნებს. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 56<sup>1</sup> და 56<sup>2</sup> მუხლით გათვალისწინებული ვალდებულებები ვრცელდება როგორც

<sup>9</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2021 წლის 25 მარტის განჩინება (საქმე №ბს-1168(კ-20)).

პირდაპირ, ასევე, ჩანაწერის მეშვეობით, ეთერში გადაცემულ ტელერადიოპროდუქციაზე და მოიცავს ნებისმიერი ტიპისა და კატეგორიის პროგრამას. გარდა ამისა, მაუწყებელს აქვს ვალდებულება, გაატაროს სათანადო ეფექტური და გონივრული ღონისძიებები, რათა აღიკვეთოს არასრულწლოვნებზე მავნე ზეგავლენის მომხდენი ინფორმაციის ეთერში გავრცელება, როგორც მაუწყებლის წარმომადგენლების (მაგალითად, წამყვანის), ისე - მესამე პირების (მაგალითად, რესპონდენტების) მიერ<sup>10</sup> აღსანიშნავია, რომ ანალოგიური კონსტიტუციური სტანდარტია დადგენილი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ.<sup>11</sup>

კომისიის დადგენილი სტანდარტი *mutatis mutandis* გამოყენებული იქნება სიძულვილის ენისა და ტერორიზმისკენ მოწოდების გავრცელების აკრძალვაზე. კერძოდ, მაუწყებელი ვალდებულია გაატაროს გონივრული და ეფექტიანი ღონისძიებები სიძულვილის ენისა და ტერორიზმისკენ მოწოდების შემცველი ინფორმაციის გავრცელების აღსაკვეთად, როგორც ჩანაწერის გავრცელებისას, ისე - პირდაპირ ეთერში გადაცემისას. პირდაპირ ეთერში განთავსებულ მასალასთან მიმართებით ასეთ გონივრულ ღონისძიებად შეიძლება მიჩნეულ იქნეს პროგრამის პირდაპირ ეთერში გადაცემის შეჩერება ან პროგრამის წამყვანის (ან მაუწყებლის სხვა წარმომადგენლის) ინტერვენცია, რომლის ფარგლებშიც წამყვანი შეაწყვეტინებს მესამე პირს (სტუმარს, რესპოდენტს) სიძულვილის ენისა და ტერორიზმისკენ მოწოდების შემცველი ინფორმაციის გავრცელებას და გაემიჯნება მის შინაარსს. ასეთივე ეფექტურ და გონივრულ საშუალებად შეიძლება ჩაითვალოს სათანადო ტექნოლოგიური გადაწყვეტების გამოყენება, რომლებიც უზრუნველყოფს პირდაპირი ეთერით გასული გადაცემის დაყოვნების შესაძლებლობას (ე.წ. “Broadcast delay”) და მაუწყებელს შესაძლებლობას მისცემს, რეალურ დროში ჩაერიოს და ეთერში არ განათავსოს ისეთი პროგრამა, რომელიც არ აკმაყოფილებს კანონის მოთხოვნებს.

### **3. სიძულვილის ენა**

კანონის მიხედვით სიძულვილის ენის გავრცელების აკრძალვა ჩამოყალიბებულია შემდეგი ფორმით:

„აკრძალულია ისეთი პროგრამის ან რეკლამის გავრცელება, რომელიც ახდენს პირის ან პირთა ჯგუფის მიმართ შეზღუდული შესაძლებლობის, ეთნიკური, სოციალური წარმომავლობის, გენდერის, სქესის, გენდერული მიკუთვნების, ეროვნების, რასის, რელიგიის ან რწმენის,

<sup>10</sup> იხ. კომისიის გადაწყვეტილება „შპს „ტელიმედის“ წინააღმდეგ მერი მელქაძის საჩივრის განხილვის თაობაზე“ (N გ-21-16/475; 12.08.2021), <https://comcom.ge/ge/legal-acts/solutions/2021--21-16-475.page>, ასევე იხ. კომისიის 2022 წლის 1 დეკემბრის N გ-22-18/523 გადაწყვეტილება „შპს „სეზონი ტვ“-ისთვის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრების საკითხის განხილვის შესახებ“ (N გ-22-18/523; 01.12.2022), <https://comcom.ge/ge/legal-acts/solutions/2022--22-18-523.page>

<sup>11</sup> იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2023 წლის 22 თებერვლის N1/1537 გადაწყვეტილება საქმეზე „შპს მთავარი არხი“, „შპს ტელეკომპანია პირველი“, „შპს ტელეკომპანია კავკასია“, „შპს ფორმულა“, ირაკლი საღინაძე, გიორგი ლიფონავა და ქეთევან დევდარიანი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, <https://constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=15038>

სექსუალური ორიენტაციის, კანის ფერის, გენეტიკური მახასიათებლების, ენის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულების, ეროვნული უმცირესობის წევრობის, ქონების, დაბადების ადგილის ან ასაკის ნიშნის მიხედვით ძალადობის ან სიძულვილის წაქეზებას (სიძულვილის ენა), გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს აუცილებელია პროგრამის კონტექსტის გათვალისწინებით და არ არსებობს სიძულვილის ენის გავრცელების განზრახვა. პროგრამა ან რეკლამა არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს ამ პუნქტით გათვალისწინებული სიძულვილის ენის შემცველად მხოლოდ მისი შეურაცხმყოფელი ან კრიტიკული შინაარსის გამო.“

როგორც აღინიშნა, აკრძალვა შეეხება მედიამომსახურების მიმწოდებლების მიერ ნებისმიერი კატეგორიის პროგრამისა და რეკლამის გავრცელებას, როგორც პირდაპირ ეთერში, ისე - ჩანაწერის მეშვეობით. საკანონმდებლო ნორმის მიხედვით აკრძალვა მოიცავს შემდეგ კომპონენტებს:

- ა) პირის ან პირთა ჯგუფის მიმართ ძალადობის ან სიძულვილის წაქეზება.
- ბ) შეზღუდული შესაძლებლობის, ეთნიკური, სოციალური წარმომავლობის, გენდერის, სქესის, გენდერული მიკუთვნების, ეროვნების, რასის, რელიგიის ან რწმენის, სექსუალური ორიენტაციის, კანის ფერის, გენეტიკური მახასიათებლების, ენის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულების, ეროვნული უმცირესობის წევრობის, ქონების, დაბადების ადგილის ან ასაკის ნიშანი.
- გ) გამონაკლისები - კონტექსტით გამართლება.

აკრძალვის აღნიშნული კომპონენტები საჭიროებს შესაბამის განმარტებას:

### *3.1. პირის ან პირთა ჯგუფის მიმართ ძალადობის ან სიძულვილის წაქეზება*

გამოხატვა რომ სიძულვილის ენის შემცველად იქნეს მიჩნეული, აუცილებელია იგი აქეზებდეს ძალადობას ან სიძულვილს ცალკეული პირების ან პირთა ჯგუფის მიმართ. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია დეტალურად გაანალიზდეს მასალის ფორმა, შინაარსი, გავრცელების ფორმატი, კონტექსტი და ა.შ. ამ კუთხით საყურადღებო ინდიკატორების/კრიტერიუმების შერჩევისას კომისია იხელმძღვანელებს საერთაშორისო გამოცდილებით. ამ სფეროში არსებული ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და ავტორიტეტული დოკუმენტია რაბათის სამოქმედო გეგმა ეროვნული, რასობრივი ან რელიგიური ნიშნით სიძულვილის ადვოკატირების აკრძალვის თაობაზე.<sup>12</sup> აღნიშნული დოკუმენტი ფართოდ გამოიყენება/რეკომენდებულია მედიის სფეროს მარეგულირებელი ორგანოებისთვის

---

<sup>12</sup> „რაბათის სამოქმედო გეგმა ეროვნული, რასობრივი ან რელიგიური ნიშნით სიძულვილის ადვოკატირების აკრძალვის თაობაზე, რომელიც აქეზებს დისკრიმინაციას, მტრობას ან ძალადობას“ დასკვნები და რეკომენდაციები, ექსპერტთა მე-4 რეგიონალური სამუშაო შეხვედრა, OHCHR, ექსპერტების დამტკიცდა რაბათში, მოროკოში 2012 წლის 5 ოქტომბერს, [https://www.ohchr.org/sites/default/files/Rabat\\_draft\\_outcome.pdf](https://www.ohchr.org/sites/default/files/Rabat_draft_outcome.pdf)

გამოსაყენებლად სიძულვილის ენის შეფასების პროცესში.<sup>13</sup> რაბათის სამოქმედო გეგმის მიხედვით, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული შემდეგი კრიტერიუმები:

(1) კონტექსტი - გამოხატვის სიძულვილის ენად კვალიფიკაციის პროცესში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება კონტექსტს, რომელშიც გავრცელდა შესაფასებელი გამოხატვა. ყურადღება უნდა მიექცეს, თუ რა საკითხს ეხება პროგრამა/რეკლამა, რამდენად არის საკითხი საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი, სენსიტიური, კონტროვერსიული, განეკუთვნება თუ არა იგი საჯარო ინტერესის საგანს, როდის და რა ვითარებაში გავრცელდა და ა.შ. კომისია თითოეულ ამ ფაქტორს შეფასებისას ყურადღებას მიაქცევს. მაგალითად, გათვალისწინებული უნდა იქნეს, რომ საჯარო ინტერესის საგანთან დაკავშირებული გამოხატვა დაცვის მაღალი ხარისხით სარგებლობს.

(2) სპიკერი - მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული სპიკერის პოზიცია და სტატუსი საზოგადოებაში, განსაკუთრებით პირის ან ორგანიზაციის პოზიციონირება იმ აუდიტორიის კონტექსტში, რომელსაც გამოხატვა მიემართება. რაც უფრო მეტი აქვს გამოხატვის ავტორ სუბიექტს საზოგადოებრივი გავლენა, მით უფრო სერიოზული შეიძლება იყოს გამოხატვა. ამ თვალსაზრისით უნდა გაანალიზდეს, როგორ აღიქვამს სპიკერს საზოგადოება, უკავია თუ არა რაიმე თანამდებობა და ა.შ.

(3) განზრახვა - ასევე უნდა გაანალიზდეს გამოხატვის ავტორის (ავტორების) განზრახვა. უნდა დადგინდეს ურთიერთდამოკიდებულება გამოხატვის ობიექტს, სუბიექტსა და აუდიტორიას შორის.

(4) ფორმა და შინაარსი - გამოხატვის შინაარსი სიძულვილის ენის შეფასების უმთავრესი ელემენტია. მისი ანალიზის ფარგლებში უნდა შეფასდეს, რა ხარისხით არის გამოხატვა პროვოკაციული და პირდაპირი, ასევე როგორია მისი ფორმა, სტილი, წარმოდგენილი არგუმენტების ბუნება, ბალანსი არგუმენტებს შორის და ა.შ. ანალიზს საჭიროებს, რამდენად არის სტილი სამეცნიერო, ოფიციალური, შემოქმედებითი, ყოფითი, რამდენად არის მედიამომსახურების მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი შეხედულებები და მოსაზრებები დაბალანსებული, ეყრდნობა თუ არა წარდგენილი შეხედულებები/მოსაზრებები მიკერძოებულ განცხადებებს, ან დისკრიმინაციულ და ყალბ განცხადებებს, შეიცავს თუ არა პირდაპირ ან არაპირდაპირ შეურაცხყოფას ადრესატი პირის ან პირთა ჯგუფის მიმართ, შეუძლია თუ არა განცხადებას აუდიტორიაში მძლავრი უარყოფითი ემოციები აღძრას, ხომ არ ახდენს გამოხატვა ძალადობის შექმნას, გაიდევალებას, წახალისებას ან გამართლებას და ხომ არ ავრცელებს რასისტულ იდეებს, სტერეოტიპებს, სტიგმატიზაციას და ა.შ.

(5) გავრცელების არეალი - რაც უფრო დიდია გამოხატვის არეალი, მით მეტია სიძულვილის ენით გამოწვეული ზიანი და მისი გავლენა საზოგადოებაზე. ამ თვალსაზრისით ყურადღება უნდა მიექცეს, თუ როგორ მოხდა გამოხატვის გავრცელება, მაუწყებლობის/მედიამომსახურების მიწოდების რომელი მეთოდი იყო გამოყენებული, გადაიცა თუ არა გამოხატვა მაუწყებლის საუკეთესო დროს და ა.შ.

(6) ზიანის ალბათობა/მყისიერება - სიძულვილის ენის გავრცელებად კვალიფიკაციისთვის მნიშვნელოვანია იმის დადგენა, ხდება თუ არა სიძულვილის/ზიზზისა და ძალადობის წაქეზება. ამ კონტექსტში აუცილებელი არ არის დადგინდეს, რომ

<sup>13</sup> <https://rm.coe.int/guide-combating-hate-speech-in-the-media-in-moldova-coe-9-/1680a9303d>

კონკრეტული ქმედება გამოიწვია შესაფასებელმა გამოხატვამ, თუმცა აუცილებელია მისი გამოწვევის ალბათობის გარკვეული ხარისხის იდენტიფიცირება. შესაბამისად, უნდა განისაზღვროს, არსებობს თუ არა გონივრული ალბათობა, რომ გამოხატვა გამოიწვევს ან, შესაძლოა, გამოიწვიოს მისი ადრესატი პირის ან პირთა ჯგუფის მიმართ გარკვეული ქმედებები იმის გაცნობიერებით, რომ ეს მიზეზობრივი კავშირი პირდაპირი უნდა იყოს. უნდა შეფასდეს გამოხატვაზე საზოგადოების რეაქცია, გაზრდილი რაოდენობის საჩივრების/განცხადებები, სხვა მედიის მიერ საკითხის გაშუქება, გამომხაურება სოციალურ მედიაში და ა.შ.

### 3.2. ნიშნები

„მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 55<sup>2</sup> მუხლით აკრძალული არ არის ნებისმიერი პირის ან პირთა ჯგუფის მიმართ სიძულვილის ენის გავრცელება. აკრძალვა რომ აღნიშნული ნორმის შინაარსობრივი რეგულირების ქვეშ მოექცეს აუცილებელია იგი ხორციელდებოდეს ქვემოთჩამოთვლილთაგან ერთ-ერთი ნიშნის მიხედვით:

- ა) შეზღუდული შესაძლებლობა;
- ბ) ეთნიკური ნიშანი;
- გ) სოციალური წარმომავლობა;
- დ) გენდერი;
- ე) სქესი;
- ვ) გენდერული მიკუთვნება;
- ზ) ეროვნება;
- თ) რასა;
- ი) რელიგია ან რწმენა;
- კ) სექსუალური ორიენტაცია;
- ლ) კანის ფერი;
- მ) გენეტიკური მახასიათებლები;
- ნ) ენა;
- ო) პოლიტიკური შეხედულება;
- პ) სხვა შეხედულება;
- ჟ) ეროვნული უმცირესობის წევრობა;
- რ) ქონება;
- ს) დაბადების ადგილი;
- ტ) ასაკი.

აღსანიშნავია, რომ დასახელებული ნიშნების ჩამონათვალი (ისევე როგორც, ზოგადად სიძულვილის ენის გავრცელების ამკრძალავი ნორმა) „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონში შემოღებულია აუდიოვიზუალური მედიამომსახურებების შესახებ 2010/13/EU დირექტივასთან (შემდგომში - დირექტივა) ჰარმონიზების მიზნით. კერძოდ, დირექტივის მე-

6 მუხლი შეეხება ძალადობის ან სიძულვილის წაქეზების აკრძალვას ევროკავშირის ადამიანის ფუნდამენტური უფლებების შესახებ ქარტიის 21-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლებით. სწორედ ქარტიის 21-ე მუხლშია მოცემული ზემოაღნიშნული, „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 55<sup>2</sup> მუხლით განსაზღვრული ნიშნები. შესაბამისად, „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 55<sup>2</sup> მუხლით გათვალისწინებული ნიშნების განმარტების პროცესში განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა, დირექტივის მე-6 მუხლის, მის საიმპლემენტაციოდ მიღებული ევროკავშირის წევრი ქვეყნების ეროვნული კანონმდებლობის და ქარტიის 21-ე მუხლის განმარტებას ევროკავშირის წევრი ქვეყნების მარეგულირებელი ორგანოების, ეროვნული სასამართლოების და ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს მიერ.

### 3.3. გამონაკლისები

კანონი საგანგებოდ გამოყოფს შემთხვევას, როდესაც, მართალია სიძულვილის ენა, შესაძლოა, ფორმალურად გავრცელდეს მედიამომსახურების პროგრამაში, თუმცა პროგრამის კონტენტით ეს გამართლებული იყოს და არ იქნეს მიჩნეული მართლსაწინააღმდეგოდ. კერძოდ, აკრძალვა არ ვრცელდება შემთხვევებზე, როდესაც „ეს აუცილებელია პროგრამის კონტენტის გათვალისწინებით და არ არსებობს სიძულვილის ენის გავრცელების განზრახვა“. უმეტეს შემთხვევებში ეს გამონაკლისი სახეზეა მაშინ, როდესაც ცალკეული სიძულვილის ენის შემცველი მასალის დემონსტრირება ეთიკური/პროფესიული ჟურნალისტური ხერხია ამა თუ იმ ამბის/მოვლენის/თვალსაზრისის გადმოსაცემად და მედიამომსახურების მიმწოდებელს/ჟურნალისტს აქვს არა სიძულვილის ენის გავრცელების, არამედ - რაიმე ამბის/მოვლენის/თვალსაზრისის ილუსტრირების განზრახვა. ასეთი გამონაკლისის კლასიკური მაგალითია ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე „იერსილდი დანიის წინააღმდეგ“<sup>14</sup>. საქმეზე მომჩივანი იყო ჟურნალისტი, რომელმაც მოამზადა დოკუმენტური გადაცემა, სადაც აისახა ადგილობრივი ახალგაზრდების ჯგუფის „მწვანეჟაკეტებიანების“ 3 წევრის ინტერვიუ. ახალგაზრდები აკეთებდნენ შეურაცხყოფელ კომენტარებს ემიგრანტებისა და დანიაში მყოფი სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლების მიმართ. მომჩივანს მსჯავრი დაედო რასობრივი რემარკების გავრცელებისთვის. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა გამოხატვის თავისუფლება, ვინაიდან ჟურნალისტი აშუქებდა საზოგადოებისთვის მნიშვნელოვან, საჭირობო საკითხს და დოკუმენტური გადაცემა ერთობლივად აღებული არ ქმნიდა რასისტული შეხედულებების და იდეების პროპაგანდას, არამედ იგი - საზოგადოებას ინფორმაციას აწვდიდა მნიშვნელოვანი სოციალური საკითხის შესახებ.

<sup>14</sup> ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს დიდი პალატის 1994 წლის 23 სექტემბრის გადაწყვეტილება საქმეზე „იერსილდი დანიის წინააღმდეგ“, საჩივარი No. 1589/89, <https://hudoc.echr.coe.int/app/conversion/docx/?library=ECHR&id=001-57891&filename=CASE%20OF%20JERSILD%20v.%20DENMARK.docx&logEvent=False>



### 3.4. კრიტერიუმების კუმულაციურობა/სავალდებულობა

„მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 55<sup>2</sup> მუხლში მოცემული, ზემოთმოყვანილი კრიტერიუმები გამოხატვის კანონით აკრძალული სიძულვილის ენად კვალიფიკაციისთვის სავალდებულო და კუმულაციურია. კერძოდ, იმისათვის, რომ მედიამომსახურების მიმწოდებელს სიძულვილის ენის გავრცელების გამო პასუხისმგებლობა დაეკისროს, აუცილებელია, რომ სახეზე იყოს, პირის ან პირთა ჯგუფის მიმართ ძალადობის ან სიძულვილის წაქეზება, რომელიმე ამ ნორმით გათვალისწინებული ნიშანი და არ არსებობდეს აკრძალვიდან გამონაკლისი - კონტექსტით გამართლება. კანონი საგანგებოდ მიუთითებს, რომ პროგრამა ან რეკლამა არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს ამ პუნქტით გათვალისწინებული სიძულვილის ენის შემცველად მხოლოდ მისი შეურაცხმყოფელი ან კრიტიკული შინაარსის გამო. შესაბამისად, მხოლოდ შეურაცხმყოფელი ან კრიტიკული შინაარსის არსებობა არ არის საკმარისი სიძულვილის ენად კვალიფიკაციისთვის. ამავდროულად, სიძულვილის ენა, შესაძლებელია, შეურაცხმყოფელი ან კრიტიკული შინაარსის ინფორმაციის გავრცელებაშიც გამოიხატოს, თუ კუმულაციურად იქნება სახეზე ზემოთმოყვანილი კრიტერიუმები.

### 4. ტერორიზმისკენ მოწოდება

„მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 55<sup>2</sup> მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, აკრძალულია ისეთი პროგრამის ან რეკლამის გავრცელება, რომელიც შეიცავს ტერორიზმისკენ მოწოდებას. თავის მხრივ, „ტერორიზმისკენ მოწოდება“ „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „3<sup>24</sup>“ ქვეპუნქტით განმარტებულია როგორც საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 330<sup>1</sup> მუხლით გათვალისწინებული ქმედება. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 330<sup>1</sup> მუხლით კრიმინალიზებულია შემდეგი ქმედებები:

ა) ტერორისტული საქმიანობის ან/და ტერორისტული ორგანიზაციის ზეპირად, წერილობით ან გამოხატვის სხვა საშუალებით საჯაროდ მხარდაჭერა (გარდა ამ კოდექსის 331<sup>1</sup> მუხლით გათვალისწინებული ქმედებისა), თუ ეს ქმნის ტერორისტული საქმიანობის განხორციელების აშკარა, პირდაპირ და არსებით საფრთხეს.

ბ) ტერორისტული საქმიანობის განხორციელებისაკენ ზეპირად, წერილობით ან გამოხატვის სხვა საშუალებით საჯაროდ მოწოდება ან ტერორისტული საქმიანობის განსახორციელებლად საქვეყნოდ ინფორმაციის გავრცელება, მიუხედავად იმისა, შეიცავს თუ არა იგი დანაშაულის ჩადენისაკენ პირდაპირ მოწოდებას, თუ ეს ქმნის ტერორისტული საქმიანობის განხორციელების აშკარა, პირდაპირ და არსებით საფრთხეს.

ამრიგად, „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 55<sup>2</sup> მუხლის მე-2 პუნქტით აკრძალულია მედიამომსახურების მიმწოდებლის პროგრამასა და რეკლამაში უშუალოდ დანაშაულის შემადგენლობის შემცველი ინფორმაციის გახმოვანება უშუალოდ

მედიამომსახურების მიმწოდებლის წარმომადგენლის მიერ ან მესამე პირის მიერ გავრცელება მედიამომსახურების მეშვეობით.

როგორც აღინიშნა, „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 55<sup>2</sup> მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული „ტერორიზმისკენ მოწოდება“ დანაშაულად არის გამოცხადებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 330<sup>1</sup> მუხლით. „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 55<sup>2</sup> მუხლის მე-2 პუნქტი, როგორც მედიის სფეროს მომწესრიგებელი ნორმა განსაზღვრავს მედიამომსახურების მიმწოდებელი სუბიექტების ვალდებულებებს და აღსრულდება სისხლისსამართლებრივი ნორმების პარალელურად.

## **5. აღსრულების პროცედურა**

„მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონი ითვალისწინებს განსაკუთრებულ წესს „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 55<sup>2</sup> მუხლით გათვალისწინებულ დარღვევებზე რეაგირებასთან დაკავშირებით. აღნიშნული დებულების დარღვევაზე კომისიამ, შესაძლებელია, რეაგირება მოახდინოს ორი გზით:

- ა) დაინტერესებული პირის საჩივრის ფარგლებში;
- ბ) საკუთარი ინიციატივით.

### **5.1. დაინტერესებული პირის საჩივარი**

დაინტერესებული პირი უფლებამოსილია საჩივარი წარადგინოს კომისიაში და გაასაჩივროს მაუწყებლის თვითრეგულირების ორგანოს გადაწყვეტილება „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 55<sup>2</sup> მუხლის დარღვევის თაობაზე. კერძოდ, „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლის მე-4 პუნქტის მიხედვით, „დაინტერესებულ პირს უფლება აქვს, ამ კანონის 55<sup>2</sup> მუხლის მოთხოვნების დარღვევასთან დაკავშირებით მაუწყებლის თვითრეგულირების ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გაასაჩივროს კომისიაში“. თავის მხრივ, „დაინტერესებული პირი“ „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ე“ ქვეპუნქტით განმარტებულია როგორც „ფიზიკური პირი ან იურიდიული პირი, რომლის კანონიერ ინტერესზე პირდაპირ და უშუალო გავლენას ახდენს მედიამომსახურების ან ვიდეოგაზიარების პლატფორმის მომსახურების მიმწოდებლის საქმიანობა“. შესაბამისად, დაინტერესებული პირი შეიძლება იყოს ის ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომლის კანონიერ ინტერესზეც გავლენას ახდენს მაუწყებლის მიერ სიძულვილის ენის/ტერორიზმისკენ მოწოდების შემცველი პროგრამის/რეკლამის გავრცელება. აღსანიშნავია, რომ „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლი, ზოგადად, ადგენს ორსაფეხურიან თვითრეგულირების მექანიზმს. აღნიშნული მუხლის მე-2 პუნქტის

თანახმად, მაუწყებლის თვითრეგულირების მექანიზმი მოიცავს მაუწყებლის თვითრეგულირების ორგანოს და მაუწყებლის თვითრეგულირების სააპელაციო ორგანოს ხოლო მე-3 პუნქტის მიხედვით კი - მაუწყებლის თვითრეგულირების ორგანოს გადაწყვეტილება ქცევის კოდექსით დადგენილი წესით საჩივრდება მაუწყებლის თვითრეგულირების სააპელაციო ორგანოში. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დაინტერესებულ პირს უფლება აქვს, მაუწყებლის თვითრეგულირების მექანიზმის პირველი საფეხურის - თვითრეგულირების ორგანოს გადაწყვეტილება „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 55<sup>2</sup> მუხლის დარღვევის თაობაზე გაასაჩივროს კომისიაში. კომისია ასეთი ტიპის საჩივარს განიხილავს ზოგადი წესით.

## 5.2. რეაგირება კომისიის ინიციატივით

„მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 59<sup>1</sup> მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, ამ კანონის 55<sup>2</sup> მუხლის მოთხოვნათა დარღვევით ადამიანის უფლებების შელახვის შემთხვევაში კომისია უფლებამოსილია, განახორციელოს შესაბამისი რეაგირება ამ კანონის IX თავით დადგენილი წესით. კანონი ადგენს კომისიის ინიციატივით რეაგირების შესაძლებლობას მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში, როდესაც სიძულვილის ენის/ტერორიზმისკენ მოწოდების შემცველი რეკლამის/პროგრამის გავრცელება ადამიანის უფლების შელახვას იწვევს.

როგორც აღნიშნა, სიძულვილის ენის/ტერორიზმისკენ მოწოდების შემცველი პროგრამის/რეკლამის გავრცელებით შეიძლება დაზარალდეს პროგრამის/რეკლამის ადრესატის (იმ პირის, რომელსაც მიემართება პროგრამა/რეკლამა, რომელიც მონაწილეობს პროგრამასა და რეკლამაში), აუდიტორიის ინტერესები და სხვა ისეთი საზოგადოებრივი ინტერესები, როგორებიც არის საზოგადოებრივი უსაფრთხოება, უშიშროება და ა.შ. ამრიგად, საკუთარი ინიციატივით კომისია რეაგირებას მოახდენს, თუ დასაბუთდება, რომ დასახელებულ ინტერესების დაზიანებით ილახება ადამიანის უფლებები. კანონი არ აკონკრეტებს ადამიანის უფლებას, რომელიც შეიძლება შეილახოს აღნიშნული დარღვევით. უფლების დარღვევის კონტექსტში მნიშვნელოვანია განიმარტოს, რომ კომისიას, როგორც საჯარო უფლებამოსილების განმხორციელებელ მარეგულირებელ ორგანოს აკისრია პასუხისმგებლობა, რომ კანონმდებლობის ფარგლებში პოზიტიური ქმედებებით, მათ შორის, სამართალდარღვევებზე ეფექტიანი რეაგირების გზით უზრუნველყოს მედიაომსახურების მიმწოდებლების მიერ ძირითადი უფლებების დარღვევის აღკვეთა და პრევენცია. ამ კონტექსტში უფლებების შელახვის საკითხი ფასდება იმ პრიზმიდან, გამოაიწვევს თუ არა კონკრეტული სამართალდარღვევის ფაქტზე კომისიის უმოქმედობა ადამიანის უფლების შელახვას.<sup>15</sup>

<sup>15</sup> იხ. *mutatis mutandis* კომისიის გადაწყვეტილება „შპს „მთავარი არხის“ სამართალდამრღვევად ცნობის და ადმინისტრაციული პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების თაობაზე“ (N<sup>o</sup> გ-21-18/22, 28.01.2021).

### თავი III.

#### „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 56<sup>1</sup> მუხლის მე-3 პუნქტის განმარტება

##### 1. საკანონმდებლო რეგულირება

1. „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 56<sup>1</sup> მუხლის მე-3 პუნქტი:

„მუხლი 56<sup>1</sup>. მავნე ზეგავლენისგან არასრულწლოვნის დაცვა

...

3. აკრძალულია პორნოგრაფიის შემცველი პროგრამის ან რეკლამის, აგრეთვე ადამიანის/მოქალაქის ღირსებისა და ძირითად უფლებათა და თავისუფლებათა შემლახავი ისეთი პროგრამის ან რეკლამის განთავსება, რომელიც უხამსობას შეიცავს. ამ პუნქტით გათვალისწინებული პროგრამა ან რეკლამა (გარდა ადამიანის ძირითად უფლებათა და თავისუფლებათა შემლახავი პროგრამისა ან რეკლამისა) შეიძლება განთავსდეს მხოლოდ კოდირებული ფორმით, მომხმარებელთან ინდივიდუალურად გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე.“

##### 1.1. პროცედურული ნორმები

დასახელებული შინაარსობრივი მოთხოვნების დარღვევაზე კომისია რეაგირებს შემდეგი საკანონმდებლო ნორმების გათვალისწინებით:

2. „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლი:

„მუხლი 14. საჩივრები

1. მაუწყებელი ვალდებულია ქცევის კოდექსის საფუძველზე შექმნას მაუწყებლის თვითრეგულირების ეფექტიანი მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს საჩივრების განხილვასა და მათზე დროულ და დასაბუთებულ რეაგირებას.

2. მაუწყებლის თვითრეგულირების მექანიზმი მოიცავს მაუწყებლის თვითრეგულირების ორგანოს და მაუწყებლის თვითრეგულირების სააპელაციო ორგანოს.

3. მაუწყებლის თვითრეგულირების ორგანოს გადაწყვეტილება ქცევის კოდექსით დადგენილი წესით საჩივრდება მაუწყებლის თვითრეგულირების სააპელაციო ორგანოში, რომელსაც ქმნის მაუწყებელი ან მაუწყებელთა გაერთიანება და რომელიც ფუნქციონირებს ქცევის კოდექსის შესაბამისად. მაუწყებლის თვითრეგულირების სააპელაციო ორგანოს წევრები არ შეიძლება იყვნენ საჯარო მოხელეები ან პოლიტიკური პარტიის წევრები. მათ არ უნდა ჰქონდეთ

მიღებული მონაწილეობა გასაჩივრებული გადაწყვეტილების მიღებაში. მაუწყებლის თვითრეგულირების სააპელაციო ორგანო დაკომპლექტებული უნდა იყოს დამოუკიდებელი, მიუკერძოებელი და კომპეტენტური პირებით.

4. დაინტერესებულ პირს უფლება აქვს, ამ კანონის 55<sup>2</sup> მუხლის მოთხოვნების დარღვევასთან დაკავშირებით მაუწყებლის თვითრეგულირების ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გაასაჩივროს კომისიაში.

5. მაუწყებლის მიერ საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნების (გარდა ამ კანონის 52-ე, 54-ე, 56-ე და 59-ე მუხლებით გათვალისწინებული ნორმებისა), აგრეთვე სალიცენზიო პირობებისა და ავტორიზაციის პირობების დარღვევის შემთხვევაში დაინტერესებულ პირს უფლება აქვს, მიმართოს კომისიას.

6. მაუწყებლის მიერ ამ კანონის 52-ე, 54-ე, 56-ე და 59-ე მუხლებით გათვალისწინებული ნორმების დარღვევაზე რეაგირება შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული მაუწყებლის თვითრეგულირების მექანიზმის ფარგლებში.

7. საჩივრის მიღებიდან 7 სამუშაო დღის განმავლობაში კომისია იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას საჩივრის განსახილველად მიღების ან საჩივარზე უარის თქმის შესახებ და დაუყოვნებლივ ატყობინებს ამის თაობაზე მომჩივანს.

8. მომხმარებელთა განცხადებებსა და საჩივრებს კომისია განიხილავს ზეპირი მოსმენით, ფორმალური ადმინისტრაციული წარმოების წესით, გარდა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი გამონაკლისებისა და იმ შემთხვევებისა, როდესაც სადავო საკითხების გადაწყვეტა არ მოითხოვს ორგანიზებული პროცედურების განხორციელებას. მომხმარებელთა იმ განცხადებებსა და საჩივრებს, რომლებიც შეეხება პირთა ფართო წრის ინტერესებს, კომისია განიხილავს მხოლოდ საჯარო ადმინისტრაციული წარმოების წესით.

9. თუ დადასტურდება დარღვევის ფაქტი, კომისია უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება დეკლარაციის შესახებ. მაუწყებელი ვალდებულია 5 დღის ვადაში საკუთარ ეთერში საუკეთესო დროს გადასცეს დეკლარაცია მის მიერ საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნების, სალიცენზიო/ავტორიზაციის პირობების დარღვევის შესახებ.

10. დარღვევის სიმძიმის გათვალისწინებით, კომისია უფლებამოსილია განიხილოს მაუწყებლის მიმართ შესაბამისი სანქციის გამოყენების საკითხი.

11. ამ მუხლის მოქმედება ვრცელდება აგრეთვე გამოძახებით აუდიოვიზუალური მედიამომსახურების მიმწოდებელზე.

12. დაინტერესებული პირის მიერ ამ მუხლის მე-4 ან მე-5 პუნქტით გათვალისწინებულ საკითხზე სასამართლოსთვის მიმართვის შემთხვევაში სარჩელი დაუშვებელია, თუ მოსარჩელემ დადგენილი წესით არ გამოიყენა იმავე საკითხზე კომისიისთვის მიმართვის შესაძლებლობა.“

3. „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 59<sup>1</sup> მუხლი:

„მუხლი 59<sup>1</sup>. დარღვევაზე რეაგირება

1. ამ კანონის 52-ე, 54-ე, 56-ე და 59-ე მუხლებით გათვალისწინებული ნორმების, აგრეთვე ქცევის კოდექსით დადგენილი ეთიკური ნორმებისა და პროფესიული სტანდარტების

დარღვევაზე რეაგირება შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ ამ კანონის მე-14 მუხლით განსაზღვრული მაუწყებლის თვითრეგულირების მექანიზმის ფარგლებში.

2. ამ კანონის 52-ე, 54-ე, 56-ე და 59-ე მუხლებით გათვალისწინებული ნორმების, ქცევის კოდექსით დადგენილი ეთიკური ნორმებისა და პროფესიული სტანდარტების ინტერპრეტაციასთან დაკავშირებული საკითხების, აგრეთვე ამ კანონის მე-14 მუხლით განსაზღვრული მაუწყებლის თვითრეგულირების მექანიზმის ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილებების სასამართლოში, კომისიაში ან სხვა ადმინისტრაციულ ორგანოში გასაჩივრება დაუშვებელია, გარდა ამ კანონის მე-14 მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა.

3. კომისია ამ კანონის 56<sup>1</sup> ან 56<sup>2</sup> მუხლით დადგენილი მოთხოვნების დარღვევაზე რეაგირებას ახდენს ამავე კანონის IX თავით განსაზღვრული პროცედურების დაცვით.

4. ამ კანონის 55<sup>2</sup> მუხლის მოთხოვნათა დარღვევით ადამიანის უფლებების შელახვის შემთხვევაში კომისია უფლებამოსილია განხორციელოს შესაბამისი რეაგირება ამ კანონის IX თავით დადგენილი წესით.“

## **2. რეგულირების სფერო**

„მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 56<sup>1</sup> მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით, „აკრძალულია პორნოგრაფიის შემცველი პროგრამის ან რეკლამის, აგრეთვე ადამიანის/მოქალაქის ღირსებისა და ძირითად უფლებათა და თავისუფლებათა შემლახავი ისეთი პროგრამის ან რეკლამის განთავსება, რომელიც უხამსობას შეიცავს. ამ პუნქტით გათვალისწინებული პროგრამა ან რეკლამა (გარდა ადამიანის ძირითად უფლებათა და თავისუფლებათა შემლახავი პროგრამისა ან რეკლამისა) შეიძლება განთავსდეს მხოლოდ კოდირებული ფორმით, მომხმარებელთან ინდივიდუალურად გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე“. წინამდებარე დოკუმენტი შემოიფარგლება მხოლოდ უხამსობის შემცველი პროგრამის/რეკლამის განმარტებით. პორნოგრაფიის გავრცელებასთან დაკავშირებით, საჭიროების შემთხვევაში, შესაძლოა, მომავალში მომზადდეს დამოუკიდებელი სარეკომენდაციო-საინფორმაციო დოკუმენტი.

2023 წლის 19 ოქტომბერს „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონში შევიდა ცვლილება, რომლის თანახმადაც, „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 56-ე მუხლის მე-4 პუნქტი ამოღებულ იქნა. აღნიშნული ნორმის ანალოგიური შინაარსის დებულება გაჩნდა „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 56<sup>1</sup> მუხლში. „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 და 59<sup>1</sup> მუხლი არ გამორიცხავს კომისიის/სასამართლოს რეაგირებას 56<sup>1</sup> მუხლით გათვალისწინებული ნორმების დარღვევაზე. შესაბამისად, ამ მხრივ, კომისიის მიერ რეაგირების შესაძლებლობა შეზღუდული არ არის. აღნიშნულის მიუხედავად, შეცვლილმა საკანონმდებლო მოცემულობამ შეცვალა უხამსობის ამკრძალავი ნორმის შინაარსი და მიზანმიმართულება. როგორც აღინიშნა, 2023 წლის 19 ოქტომბრის საკანონმდებლო ცვლილებებით უხამსობის ამკრძალავი ნორმა მოექცა 56<sup>1</sup> მუხლში, რომლის

სათაურია „მავნე ზეგავლენისგან არასრულწლოვნის დაცვა“. ხსენებული მუხლი სრულად მიმართულია არასრულწლოვანი აუდიტორიის ინტერესების დაცვისკენ. შედეგად, კომისია მოკლებულია შესაძლებლობას, გააგრძელოს 2023 წლის 30 ივნისის საკანონმდებლო ცვლილებებამდე არსებული პრაქტიკა და არასრულწლოვნების დამცავი 56<sup>2</sup> მუხლით გათვალისწინებული უხამსობის ამკრძალავი ნორმის პარალელურად აღასრულოს უხამსობის ამკრძალავი ზოგადი ნორმა, რომელიც ასევე დაიცავს პროგრამის/რეკლამის ადრესატებსა და სრულწლოვან აუდიტორიას. აღნიშნულიდან გამომდინარე, კომისია „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 56<sup>1</sup> მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული უხამსობის დარღვევას დაადგენს მხოლოდ მაშინ, თუ უხამსობის შემცველი პროგრამა ან რეკლამა განთავსდება 6 საათიდან 24 საათამდე პერიოდში.

### **3. უხამსობის განმარტება**

უშუალოდ ტერმინ „უხამსობასთან“ დაკავშირებით კომისიის მიერ გაკეთებული განმარტებები კვლავ აქტუალურია, მათ შორის, 56<sup>1</sup> მუხლით გათვალისწინებული უხამსობის კონტექსტში.

მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „3<sup>12</sup>“ პუნქტის თანახმად, უხამსობა განმარტებულია, როგორც „ქმედება, რომელიც ეწინააღმდეგება საზოგადოებაში დამკვიდრებულ ეთიკურ ნორმებს და არა აქვს საზოგადოებრივ-პოლიტიკური, კულტურული, საგანმანათლებლო ან მეცნიერული ღირებულება“. დასახელებული ნორმის სამართლებრივი კონსტრუქციის გათვალისწინებით „უხამსობად“ კვალიფიკაციის საკითხი უნდა შეფასდეს შემდეგი კრიტერიუმების გამოყენებით:

(ა) შეიცავს თუ არა პროგრამა ქმედებას, რომელიც ეწინააღმდეგება საზოგადოებაში დამკვიდრებულ ეთიკურ ნორმებს;

(ბ) აქვს თუ არა საზოგადოებაში დამკვიდრებული ეთიკური ნორმების საწინააღმდეგო ქმედებას საზოგადოებრივ-პოლიტიკური, კულტურული, საგანმანათლებლო ან მეცნიერული ღირებულება;

#### **3.1. ეთიკის ნორმებთან წინააღმდეგობა**

„მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, პროგრამის უხამსად მიჩნევის საკითხის გადასაწყვეტად პირველ რიგში უნდა დადგინდეს, შეიცავს თუ არა იგი ქმედებას, რომელიც ეწინააღმდეგება საზოგადოებაში დამკვიდრებულ ეთიკურ ნორმებს. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განმარტებით, „ზოგადად მორალის (და, შესაბამისად, უხამსობის) დეფინიციის უნივერსალური ცნება არ არსებობს. თავად უხამსობის კანონისმიერი

დეფინიციის მიხედვით, ამა თუ იმ გამოხატვის უხამსობად მიჩნევის საკითხს განსაზღვრავს საზოგადოებაში საყოველთაოდ დამკვიდრებული ეთიკური ნორმები<sup>16</sup>.

კომისიის პრაქტიკის მიხედვით, ეთიკური ნორმების საწინააღმდეგოდ მიიჩნევა პროგრამაში გენიტალიების ჩვენება, ადამიანების გენიტალიებთან შედარება (თუნდაც უცენზურო ტერმინოლოგიის გამოყენებლად),<sup>17</sup> ისეთი შეურაცხმყოფელი და უცენზურო გამონათქვამების გამოყენება, როგორებიც არის: „ტრა\*ის“, „პიდა\*ასტი“, „პიდ\*სტებო“, „ტრა\*ზე პიდ\*სტი“, „ნაბ\*\*ვარი“, „მეტრა\*ეების, „ბო\*ობა“, „ბო\*ი“, „გამო\*ირებული“, ასეთი გამონათქვამებით ამა თუ იმ პირის ან პირთა ჯგუფის მოხსენიება.<sup>18</sup>

### 3.2. ღირებულება

„მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, უხამსობის კვალიფიკაციისას ასევე მნიშვნელოვანია, განისაზღვროს აქვს თუ არა არაეთიკურ ქმედებას საზოგადოებრივ-პოლიტიკური, კულტურული, საგანმანათლებლო ან მეცნიერული ღირებულება. იმ შემთხვევაში, თუ ქმედებას, რომელიც ეწინააღმდეგება საზოგადოებაში დამკვიდრებულ ეთიკურ ნორმებს, გააჩნია საზოგადოებრივ-პოლიტიკური, კულტურული, საგანმანათლებლო ან მეცნიერული ღირებულება, იგი არ მიიჩნევა უხამსობად „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის მიზნებისთვის.

ამ თვალსაზრისით, უნდა შეფასდეს, აქვს თუ არა საზოგადოებრივ-პოლიტიკური, კულტურული, საგანმანათლებლო ან მეცნიერული ღირებულება, არა მთლიანად იმ პროგრამას (ან სიუჟეტს), რომელშიც ეთიკური ნორმების საწინააღმდეგო კონტენტია განთავსებული, არამედ - უნდა დადგინდეს, აქვს თუ არა ამგვარი ღირებულება კონკრეტულ ეთიკური ნორმების საწინააღმდეგო ქმედებას (განცხადებას).<sup>19</sup>

აღსანიშნავია, რომ მაუწყებლის ეთერში უხამსობის განთავსების მარეგულირებელი კანონმდებლობის განმარტების ამგვარი სტანდარტი იკვეთება საერთაშორისო პრაქტიკის ანალიზითაც. კერძოდ, უცხო ქვეყნების მაუწყებლობის სფეროს მარეგულირებელი ორგანოები (და სასამართლოები) უხამსი, არაეთიკური კონტენტის შეფასებისას ყურადღებას ამახვილებენ არა მთელი პროგრამის, არამედ - კონტენტის არაეთიკური ნაწილის საზოგადოებრივ-

<sup>16</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 20 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე № ას-1278-1298-2011.

<sup>17</sup> იხ. კომისიის გადაწყვეტილება „შპს „მთავარი არხის“ სამართალდამრღვევად ცნობის და ადმინისტრაციული პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების თაობაზე“ (№ გ-21-18/22, 28.01.2021).

<sup>18</sup> იხ. კომისიის გადაწყვეტილება „შპს „ალტ ინფოსთვის“ ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე“ (№ გ-21-18/236, 15.04.2021), კომისიის გადაწყვეტილება შპს „ალტ ინფოს“ სამართალდამრღვევად ცნობისა და ადმინისტრაციული პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების თაობაზე (№ გ-21-18/474, 29.07.2021).

<sup>19</sup> იხ. კომისიის გადაწყვეტილება „შპს „მთავარი არხის“ სამართალდამრღვევად ცნობის და ადმინისტრაციული პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების თაობაზე“ (№ გ-21-18/22, 28.01.2021).



პოლიტიკურ, კულტურულ, საგანმანათლებლო ან მეცნიერულ ღირებულებასა და კონტექსტით გამართლებულობაზე.<sup>20</sup>

არაეთიკური ქმედების (განცხადების) ეთერში განთავსებას შეიძლება ჰქონდეს საზოგადოებრივ-პოლიტიკური, კულტურული, საგანმანათლებლო ან მეცნიერული ღირებულება და იყოს კონტექსტით გამართლებული, როდესაც კონტენტის თავისებურების გათვალისწინებით შეუძლებელია შესაბამისი საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზრის, ახალი ამბის, კულტურული, საგანმანათლებლო ან მეცნიერული კონტენტის გადაცემა არაეთიკური ქმედების/განცხადების ეთერში განთავსების გარეშე. მაგალითად, კომისია კონტექსტით გამართლებულად მიიჩნევს შეურაცხმყოფელი ლექსიკის გამოყენებას მაშინ, როდესაც ეს განპირობებულია პერსონაჟის მახასიათებლებით და ნაწარმოების მხატვრული ღირებულებით<sup>21</sup>.

## თავი V.

### პასუხისმგებლობის დაკისრების სტანდარტები

#### 1. საკანონმდებლო რეგულირება

1. „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 71-ე მუხლი

„მუხლი 71. სანქციები

1. მედიამომსახურების მიმწოდებლის ან ვიდეოგაზიარების პლატფორმის მომსახურების მიმწოდებლის მიერ საქართველოს კანონმდებლობის დარღვევის, კომისიის გადაწყვეტილების შეუსრულებლობის ან ლიცენზიის/ავტორიზაციის პირობების დარღვევის შემთხვევაში კომისია ვალდებულია განიხილოს შესაბამისი საკითხი. დარღვევის ფაქტის დადასტურების შემთხვევაში კომისია უფლებამოსილია დამრღვევი წერილობით გააფრთხილოს. კომისიის მიერ სანქციის გამოყენების მიზანი უნდა იყოს დარღვევის აღმოფხვრა ან პრევენცია. კომისია დამრღვევს დარღვევის აღმოსაფხვრელად ან მისი პრევენციისთვის ღონისძიებათა განსახორციელებლად გონივრულ ვადას განუსაზღვრავს.

2. (ამოღებულია - 30.06.2023, №3448).

3. კომისია ვალდებულია მედიამომსახურებისა და ვიდეოგაზიარების პლატფორმის მომსახურების მიმწოდებლებს დააკისროს ჯარიმა, თუ მათ ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ გაფრთხილებაში მითითებულ ვადაში არ აღმოფხვრეს გაფრთხილებაში

<sup>20</sup> FCC v. Pacifica Foundation, 438 U.S. 726 (1978), <https://supreme.justia.com/cases/federal/us/438/726/> Ofcom Broadcast and On Demand Bulletin Issue Number 393, 9-10 [https://www.ofcom.org.uk/data/assets/pdf\\_file/0025/185551/Issue-393-broadcast-and-on-demand-bulletin.pdf](https://www.ofcom.org.uk/data/assets/pdf_file/0025/185551/Issue-393-broadcast-and-on-demand-bulletin.pdf)

<sup>21</sup> *mutatis mutandis* კომისიის გადაწყვეტილება „შპს „ფორმულასათვის“ ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე“ (№გ-20-18/966, 31.12.2020).

აღნიშნული დარღვევა ან არ შეასრულეს კომისიის გადაწყვეტილება, აგრეთვე თუ მათ აღნიშნული გაფრთხილების მიღებიდან 1 წლის განმავლობაში ჩაიდინეს ახალი დარღვევა.

4. (ამოღებულია - 30.06.2023, №3448).

5. მხოლოდ კომისიას აქვს ლიცენზიის მოქმედების შეჩერების/ავტორიზაციის შეჩერების ან ლიცენზიის/ავტორიზაციის გაუქმების უფლება.

*(ძალადაკარგულად იქნა ცნობილი 71-ე მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტების ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც ითვალისწინებს მაუწყებლისთვის სანქციის დაკისრების შესაძლებლობას არასრულწლოვნისათვის საფრთხის შემცველი ინფორმაციის/მასალის პირდაპირი ეთერის მიმდინარეობისას გადაცემისათვის ისეთ პირობებში, როდესაც მაუწყებელმა შესაბამის გარემოებებში სიფრთხილის ყველა შესაძლებელი ღონისძიების მიმართვის მიუხედავად, ვერ განჭვრიტა და არ შეეძლო წინასწარ განჭვრიტა ამგვარი მასალის ეთერში მოხვედრის შესაძლებლობა) - საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2023 წლის 22 თებერვლის გადაწყვეტილება №1/1/1537 – ვებგვერდი, 27.02.2023წ.*

6. (ამოღებულია - 30.06.2023, №3448).

7. გაფრთხილების, დაჯარიმების, ლიცენზიის მოქმედების შეჩერების/ავტორიზაციის შეჩერების ან ლიცენზიის/ავტორიზაციის გაუქმების შესახებ კომისიის გადაწყვეტილება შეიძლება საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით გასაჩივრდეს სასამართლოში. ლიცენზიის მფლობელი/ავტორიზებული პირი უფლებამოსილია ლიცენზიის მოქმედების არამართლზომიერი შეჩერების/ავტორიზაციის არამართლზომიერი შეჩერების ან ლიცენზიის/ავტორიზაციის არამართლზომიერი გაუქმების გამო მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება. ზიანის ანაზღაურების ოდენობას ადგენს სასამართლო.“

2. „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 72-ე მუხლი

„მუხლი 72. ჯარიმის ოდენობა და გადახდის წესი

1. ამ კანონის 71-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში კომისია უფლებამოსილია დამრღვევს დააკისროს ჯარიმა არაუმეტეს მისი წლიური შემოსავლის 0,5%-ის ოდენობით, მაგრამ არანაკლებ 2 500 ლარისა.

2. მედიამომსახურების ან ვიდეოგაზიარების პლატფორმის მომსახურების მიმწოდებლის დაჯარიმების შემდეგ მის მიერ დენადი ხასიათის დარღვევის გაგრძელების ან/და დაჯარიმებიდან 1 წლის განმავლობაში ახალი ერთჯერადი ხასიათის დარღვევის ჩადენის შემთხვევაში კომისია უფლებამოსილია დამრღვევს დააკისროს ჯარიმა არაუმეტეს მისი წლიური შემოსავლის 1%-ისა, მაგრამ არანაკლებ 5 000 ლარისა, ან დაიწყოს საჯარო ადმინისტრაციული წარმოება ლიცენზიის მოქმედების შესაჩერებლად/ავტორიზაციის შესაჩერებლად.

3. მედიამომსახურების ან ვიდეოგაზიარების პლატფორმის მომსახურების მიმწოდებლის მეორედ დაჯარიმების შემდეგ მის მიერ დენადი ხასიათის დარღვევის გაგრძელების ან/და მეორედ დაჯარიმების შემდეგ, მაგრამ პირველი დაჯარიმებიდან 1 წლის განმავლობაში, ყოველი ახალი ერთჯერადი ხასიათის დარღვევის ჩადენის შემთხვევაში კომისია

უფლებამოსილია დამრღვევს დააკისროს ჯარიმა არაუმეტეს მისი წლიური შემოსავლის 3%-ისა, მაგრამ არანაკლებ 10 000 ლარისა, ან დაიწყოს საჯარო ადმინისტრაციული წარმოება ლიცენზიის მოქმედების შესაჩერებლად/ ავტორიზაციის შესაჩერებლად.

4. დაჯარიმების შესახებ გადაწყვეტილება მოტივებისა და საფუძვლების მითითებით, გადაწყვეტილების მიღებიდან 7 დღის ვადაში წერილობით ეცნობება მედიამომსახურების ან ვიდეოგაზიარების პლატფორმის მომსახურების მიმწოდებელს.

5. ჯარიმა გადახდილი უნდა იქნეს დაჯარიმების შესახებ გადაწყვეტილების მედიამომსახურების ან ვიდეოგაზიარების პლატფორმის მომსახურების მიმწოდებლისთვის ჩაბარებიდან 1 თვის ვადაში.

6. მედიამომსახურების ან ვიდეოგაზიარების პლატფორმის მომსახურების მიმწოდებლის მიერ დაჯარიმების შესახებ გადაწყვეტილების შეუსრულებლობის შემთხვევაში გადაწყვეტილების აღსრულებას უზრუნველყოფს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – აღსრულების ეროვნული ბიურო. ჯარიმის თანხა ჩაირიცხება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში.”

### 3. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 33-ე მუხლი

„მუხლი 33. ადმინისტრაციული სამართალდარღვევისათვის სახდელის დადების ზოგადი წესები

ადმინისტრაციული სამართალდარღვევისათვის სახდელი დაედება იმ ნორმატიული აქტით დაწესებულ ფარგლებში, რომელიც ითვალისწინებს პასუხისმგებლობას ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ამ კოდექსის და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ სხვა აქტების ზუსტი შესაბამისობით.

სახდელის დადებისას მხედველობაში მიიღება ჩადენილი სამართალდარღვევის ხასიათი, დამრღვევის პიროვნება, მისი ბრალის ხარისხი, ქონებრივი მდგომარეობა, პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებანი“.

### 4. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 34-ე მუხლი

„მუხლი 34. ადმინისტრაციული სამართალდარღვევისათვის პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოებანი

ადმინისტრაციული სამართალდარღვევისათვის პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ გარემოებებად ითვლება:

- 1) ბრალეულის გულწრფელი მონანიება;
- 2) ბრალეულის მიერ სამართალდარღვევის მავნე შედეგების აცილება, ზარალის ნებაყოფლობით ანაზღაურება ან მიყენებული ზიანის გამოსწორება;

- 3) სამართალდარღვევის ჩადენა ძლიერი სულიერი აღელვების გავლენით, ან მძიმე პირად თუ ოჯახურ გარემოებათა დამთხვევის გამო;
- 4) სამართალდარღვევის ჩადენა არასრულწლოვნის მიერ;
- 5) სამართალდარღვევის ჩადენა ორსული ქალის ან იმ ქალის მიერ, რომელსაც ერთ წლამდე ასაკის ბავშვი ჰყავს.

საქართველოს კანონმდებლობით შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს აგრეთვე ადმინისტრაციული სამართალდარღვევისათვის პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი სხვა გარემოებანიც. ორგანოს (თანამდებობის პირს), რომელიც ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეს წყვეტს, შეუძლია შემამსუბუქებლად მიიჩნიოს ისეთი გარემოებანიც, რომლებიც არ არის აღნიშნული კანონმდებლობაში.“

## 5. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 35-ე მუხლი

„მუხლი 35. ადმინისტრაციული სამართალდარღვევისთვის პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოებანი

ადმინისტრაციული სამართალდარღვევისათვის პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებად ითვლება:

1. მართლსაწინააღმდეგო ქცევის განგრძობა მისი შეწყვეტის შესახებ საამისოდ უფლებამოსილ პირთა მოთხოვნის მიუხედავად;
2. წლის განმავლობაში ერთგვაროვანი სამართალდარღვევის განმეორებით ჩადენა, რომლის გამოც პირს უკვე დაედო ადმინისტრაციული სახდელი, სამართალდარღვევის ჩადენა წინათ დანაშაულის ჩამდენი პირის მიერ;
3. არასრულწლოვნის ჩაბმა სამართალდარღვევაში;
4. სამართალდარღვევის ჩადენა პირთა ჯგუფის მიერ;
5. სამართალდარღვევის ჩადენა სტიქიური უბედურების პირობებში სხვა საგანგებო გარემოებათა დროს;
6. სამართალდარღვევის ალკოჰოლის ან ნარკოტიკული, ფსიქოტროპული ან ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერების ზემოქმედების ქვეშ ჩადენა.“

## 2. პასუხისმგებლობის განსაზღვრის ზოგადი კრიტერიუმები

პასუხისმგებლობის განსაზღვრის პროცესში კომისია მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის დასაცავად და ითვალისწინებს ლეგიტიმურ კერძო და საჯარო ინტერესებს. კომისიამ უნდა უზრუნველყოს, რომ მის მიერ გამოყენებული პასუხისმგებლობის ზომა იყოს სამართლიანი, პროპორციული და პრევენციული ხასიათის.<sup>22</sup>

---

<sup>22</sup> *mutatis mutandis* იხ. საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე დასაკისრებელი ჯარიმების ოდენობის დადგენის სახელმძღვანელო პრინციპები, დამტკიცებულია საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის

სამართლიანი პასუხისმგებლობის დაკისრება შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, თუ მხედველობაში იქნება მიღებული სამართალდარღვევის ჩადენასთან დაკავშირებული ყველა არსებითი ფაქტობრივი გარემოება. პირს პასუხისმგებლობა უნდა დაეკისროს სამართალდარღვევის სიმძიმისა და დარღვევის ხარისხიდან გამომდინარე.

აუცილებელია, პასუხისმგებლობის ზომა იყოს პროპორციული და ჰქონდეს პრევენციული ეფექტი არა მხოლოდ სამართალდამრღვევი პირის (სპეციალური პრევენცია), არამედ სხვა პირების მიმართაც (საერთო პრევენცია) და მაქსიმალურად უზრუნველყოს კანონის სამომავლო დარღვევის თავიდან აცილება იმგვარად, რომ არაპროპორციულად არ შეიზღუდოს მედიამომსახურების მიმწოდებელი პირის უფლებები.

კანონი ითვალისწინებს პასუხისმგებლობის დაკისრების მიზნებს, რომლებიც მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული კომისიის მიერ პასუხისმგებლობის ზომის განსაზღვრისას. კერძოდ, „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 71-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, კომისიის მიერ სანქციის გამოყენების მიზანი უნდა იყოს დარღვევის აღმოფხვრა ან პრევენცია. პასუხისმგებლობის ზომის განსაზღვრის დამატებითი კრიტერიუმები ასევე მოცემულია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსშიც. კერძოდ, კოდექსის 34-ე და 35-ე მუხლები ადგენს ადმინისტრაციული სამართალდარღვევისათვის პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ (მაგალითად, ბრალის აღიარება) და დამამძიმებელ გარემოებებს (მაგალითად, წლის განმავლობაში ერთგვაროვანი სამართალდარღვევის განმეორებით ჩადენა, რომლის გამოც პირს უკვე დაედო ადმინისტრაციული სახდელი), ასევე, მხედველობაში მიიღება მატერიალური სამართლიანობის მოთხოვნიდან გამომდინარე კრიტერიუმები. კერძოდ, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 34-ე მუხლის შესაბამისად, შესაძლებელია, გარდა ხსენებულ მუხლში ჩამოთვლილი შემამსუბუქებელი გარემოებებისა, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ იქნეს ადმინისტრაციული სამართალდარღვევისათვის პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი სხვა გარემოებანიც. ამასთან, ორგანოს/თანამდებობის პირს, რომელიც ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე გადაწყვეტილებას იღებს, შეუძლია შემამსუბუქებლად მიიჩნიოს ისეთი გარემოებანიც, რომლებიც არ არის აღნიშნული კანონმდებლობაში. შესაბამისად, პასუხისმგებლობის ზომის განსაზღვრისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს ის ასპექტები, რომელთაც გავლენა მოახდინეს სამართალდარღვევის სიმძიმესა და დარღვევის ხარისხზე.

### **3. პასუხისმგებლობის განსაზღვრის ეტაპები**

თითოეულ სამართალდარღვევაზე ყველა დამრღვევ პირს პასუხისმგებლობა ეკისრება ინდივიდუალურად და მისი ოდენობაც თითოეული პირისთვის ცალ-ცალკე განისაზღვრება.

პასუხისმგებლობის ზომის განსაზღვრა სქემატურად ხორციელდება ორ ეტაპად. პირველი ეტაპია პასუხისმგებლობის ზოგადი საზღვრების დადგენა (მაქსიმალური ოდენობა), ხოლო მეორე ეტაპზე ხდება პასუხისმგებლობის ინდივიდუალური, პროპორციული ოდენობის განსაზღვრა.

პასუხისმგებლობის ზომები და ზოგადი საზღვრები დადგენილია „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 71-ე და 72-ე მუხლებით. პასუხისმგებლობის ინდივიდუალური ოდენობის განსაზღვრა - პასუხისმგებლობის შეფარდების მეორე ეტაპია და ითვალისწინებს ავტორიზებული/ლიცენზიის მფლობელი პირისათვის სანქციის ოდენობის ზოგადი საზღვრების ფარგლებში, სამართალდარღვევის ხასიათის პროპორციული პასუხისმგებლობის ზომის განსაზღვრას. კერძოდ, უნდა მოხდეს ქმედების სიმძიმის, ხანგრძლივობის, ზიანის, დამამძიმებელი ან/და შემამსუბუქებელი გარემოებების შეფასება, რათა დადგინდეს კანონსაწინააღმდეგო ქმედებისთვის პროპორციული პასუხისმგებლობის ზომა.

### *3.1. პასუხისმგებლობის ზოგადი საზღვრების განსაზღვრა*

„მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილია პასუხისმგებლობის შემდეგი ზომები: წერილობითი გაფრთხილება, ჯარიმა, ავტორიზაციის მოქმედების/ლიცენზიის მოქმედების შეჩერება, ლიცენზიის გაუქმება. სამართალდამრღვევის ინტერესებიდან გამომდინარე, კანონითვეა განსაზღვრული პირის მიმართ გამოსაყენებელი სანქციის დაკისრების საფეხურებრივი პრინციპი - „მსუბუქი ხასიათის სანქციიდან - მკაცრი ხასიათის სანქციისაკენ“. კერძოდ, თავდაპირველად, პირის მიმართ, გამოყენებული უნდა იყოს ნაკლებად მკაცრი, ხოლო დარღვევის გაგრძელების ან განმეორების შემთხვევაში შედარებით უფრო მკაცრი სანქცია. „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილია კომისიის მიერ სანქციის გამოყენების შემდეგი რიგითობა:

- i. წერილობითი გაფრთხილება;
- ii. პირველი ჯარიმა;
- iii. მეორე ჯარიმა ან ლიცენზიის მოქმედების შეჩერება/ავტორიზაციის შეჩერება;
- iv. მესამე და შემდგომი ჯარიმა ან ლიცენზიის მოქმედების შეჩერება/ავტორიზაციის შეჩერება;
- v. ლიცენზიის გაუქმება, თუ პირის მიმართ შეჩერებული იყო ლიცენზია და მან შეჩერების პერიოდში არ აღმოფხვრა დარღვევა.

დაუშვებელია აღნიშნული რიგითობის დარღვევა და პირის მიმართ, პირველივე დარღვევის ჩადენის შემთხვევაში, დადგენილზე მკაცრი სანქციის გამოყენება (მაგალითისათვის, დაუშვებელია, პირს პირველივე დარღვევის ჩადენისას სანქციის სახით დაეკისროს ჯარიმა).

*ა) წერილობითი გაფრთხილება/პირის სამართალდამრღვევად ცნობა და პასუხისმგებლობისგან გათავისუფლება*

„მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, წერილობითი გაფრთხილება არის სანქციის ყველაზე მსუბუქი სახე და იგი, როგორც წესი, გამოიყენება დამრღვევის მიერ

დარღვევის პირველად ჩადენის შემთხვევაში. წერილობით გაფრთხილებას არ ახლავს უარყოფითი ფინანსური შედეგი. წერილობითი გაფრთხილების გამოყენებისას კომისია, თავისი გადაწყვეტილებით, დამრღვევს გონივრულ ვადას განუსაზღვრავს, რა დროის განმავლობაშიც პირმა უნდა აღმოფხვრას დარღვევა ან განახორციელოს შესაბამისი ღონისძიებები მისი პრევენციისათვის.

აღსანიშნავია, რომ სამართალდამრღვევის მიერ დარღვევის პირველად ჩადენა ყოველთვის არ იწვევს მისთვის წერილობითი გაფრთხილების დაკისრებას და ცალკეულ შემთხვევაში, კომისია თავს იკავებს, მათ შორის, ყველაზე მსუბუქი სანქციის - გაფრთხილების გამოყენებისგან. ასეთ დროს კომისია პირს ცნობს სამართალდამრღვევად და ათავისუფლებს მას ადმინისტრაციული პასუხისმგებლობისაგან. პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება იცავს პირის სამომავლო ინტერესს. კერძოდ, თუ იგი კვლავ ჩაიდენს ახალ დარღვევას - მის მიმართ გამოიყენება წერილობითი გაფრთხილება. მაგრამ იმ შემთხვევაში თუ სამართალდამრღვევი წერილობით გაფრთხილებული, ხოლო ახალ დარღვევას ჩაიდენს წერილობით გაფრთხილების მიღებიდან 1 წლის განმავლობაში, მის მიმართ შესაძლებელია, გამოყენებულ იქნეს უფრო მკაცრი ხასიათის სანქცია - ჯარიმა. შესაბამისად, კომისიის მიერ პირის სამართალდამრღვევად ცნობა და მისი პასუხისმგებლობისგან გათავისუფლება იცავს დამრღვევს მომავალში უფრო მკაცრი სანქციის დაკისრებისაგან.

დადგენილი პრაქტიკის მიხედვით, კომისია, როგორც წესი, პირს ცნობს სამართალდამრღვევად და ათავისუფლებს მას პასუხისმგებლობისაგან შემდეგ შემთხვევებში:

1. საკითხი ეხება პირის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობას (მაგ: რეგულირების საფასურის გადაუხდელობა/კომისიისთვის შესაბამისი ინფორმაციის წარუდგენლობა), რის გამოც კომისიამ დაიწყო ადმინისტრაციული წარმოება, მაგრამ კომისიის მიერ გადაწყვეტილების მიღებამდე, დამრღვევმა შეასრულა თავისი ვალდებულება (მაგ.: გადაიხადა რეგულირების საფასური/კომისიას წარუდგინა შესაბამისი ინფორმაცია) და არ დაზიანებულა მნიშვნელოვანი კერძო და საჯარო ინტერესები.<sup>23</sup>

2. კონკრეტული საკითხი, მისი შინაარსის გათვალისწინებით, საჭიროებს განმარტებას, პრეცედენტულია და კომისიას ადრე არ უმსჯელია ანალოგიურ საკითხზე - შესაბამისად, მიზანშეწონილია ერთგვაროვანი პრაქტიკის ჩამოყალიბება და მკაფიო, გასაგები სტანდარტების დადგენა. ასეთ შემთხვევებშიც კომისია თავს იკავებს სანქციის გამოყენებისაგან, ადგენს სტანდარტებს და შემოიფარგლება პირის სამართალდამრღვევად ცნობით.<sup>24</sup>

---

<sup>23</sup> იხ. მაგალითად, კომისიის გადაწყვეტილება შპს „პოვერნეტის“ სამართალდამრღვევად ცნობისა და ადმინისტრაციული პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების თაობაზე (№გ-23-18/439; 14.09.2023); კომისიის გადაწყვეტილება „შპს „ალტ ინფოს“ სამართალდამრღვევად ცნობისა და ადმინისტრაციული პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების თაობაზე“ (№გ-21-18 / 148; 11.03.2021);

<sup>24</sup> იხ. კომისიის გადაწყვეტილება „შპს „მთავარი არხის“ სამართალდამრღვევად ცნობისა და ადმინისტრაციული პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების თაობაზე“ (№გ-21-18 / 22; 28.01.2021); კომისიის გადაწყვეტილება „შპს „ალტ ინფოს“ სამართალდამრღვევად ცნობისა და ადმინისტრაციული პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების თაობაზე“ (№ გ-21-18/474; 29.07.2021); კომისიის

## ბ) ჯარიმა

ჯარიმა, წერილობით გაფრთხილებასთან შედარებით, უფრო მკაცრი სანქციის ზომაა და უკავშირდება ნეგატიურ ფინანსურ შედეგებს. სამართალდამრღვევს შესაძლოა დაეკისროს პირველი, მეორე, მესამე და შემდგომი ჯარიმა. თავის მხრივ, ჯარიმის რიგითობას აქვს არსებითი მნიშვნელობა - რაც უფრო მაღალი საფეხურისაა ჯარიმა, მით უფრო დიდი ოდენობის შეიძლება იყოს იგი.

- სანქციის სახით პირველი ჯარიმის გამოყენება შესაძლებელია მაშინ, თუ დაჯარიმებამდე დამრღვევის მიმართ გამოყენებულია წერილობითი გაფრთხილება, მას გადაწყვეტილებით განსაზღვრულ ვადაში არ აღმოუფხვრია დარღვევა ან არ შეუსრულებია კომისიის გადაწყვეტილება. ასევე, ჯარიმა გამოიყენება იმ შემთხვევაშიც, როცა დამრღვევმა გაფრთხილების მიღებიდან 1 წლის განმავლობაში კვლავ ჩაიდინა მსგავსი/ანალოგიური ხასიათის დარღვევა. პირველი ჯარიმის მინიმალურ ოდენობად განსაზღვრულია 2 500 ლარი, ხოლო მაქსიმალურ ოდენობად დამრღვევის წლიური შემოსავლის 0.5%;

- სანქციის სახით მეორე ჯარიმის გამოყენება შესაძლებელია მაშინ, თუ სამართალდამრღვევი, პირველი დაჯარიმების შემდეგ, აგრძელებს დენადი ხასიათის დარღვევის ჩადენას ან/და პირველი ჯარიმის დაკისრებიდან 1 წლის განმავლობაში ჩაიდენს ახალ ერთჯერად მსგავს/ანალოგიური ხასიათის დარღვევას. მეორე ჯარიმის მინიმალურ ოდენობად განსაზღვრულია 5 000 ლარი, ხოლო მაქსიმალურ ოდენობად დამრღვევის წლიური შემოსავლის 1%;

- სანქციის სახით მესამე და შემდგომი ჯარიმის გამოყენება შესაძლებელია მაშინ, თუ სამართალდამრღვევი მეორედ დაჯარიმების შემდეგ, აგრძელებს დენადი ხასიათის დარღვევას ან/და მეორედ დაჯარიმების შემდეგ, მაგრამ პირველი დაჯარიმებიდან 1 წლის განმავლობაში, ჩაიდენს ყოველ ახალ ერთჯერად მსგავს/ანალოგიური ხასიათის დარღვევას. მესამე და შემდგომი ჯარიმის მინიმალურ ოდენობად განსაზღვრულია 10 000 ლარი, ხოლო მაქსიმალურ ოდენობად დამრღვევის წლიური შემოსავლის 3%.

ამრიგად, კანონით დადგენილია ჯარიმის ზედა და ქვედა ზღვარი, ხოლო კომისიას, ამ ზღვრების ფარგლებში, დისკრეციული უფლებამოსილების გამოყენებით, შეუძლია ყოველ ცალკეულ შემთხვევაში განსაზღვროს ჯარიმის სამართლიანი და პროპორციული ოდენობა.

ამავდროულად, მნიშვნელოვანია განიმარტოს, რას მოიცავს „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონით ახალი დარღვევის ჩადენისათვის განსაზღვრული 1 წლიანი პერიოდი<sup>25</sup>. „ახალი დარღვევა“ არ განიმარტება მისი სიტყვასიტყვითი მნიშვნელობით, არამედ

---

გადაწყვეტილება „მკს „სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2“-ს სამართალდამრღვევად ცნობისა და ადმინისტრაციული პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების თაობაზე“ (№665 / 18; 06.12.2018).

<sup>25</sup> „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 71-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, კომისია ვალდებულია მედიამომსახურებისა და ვიდეოგაზიარების პლატფორმის მომსახურების მიმწოდებლებს დააკისროს ჯარიმა [...] თუ მათ აღნიშნული გაფრთხილების მიღებიდან 1 წლის განმავლობაში ჩაიდინეს ახალი დარღვევა.



იგი გულისხმობს პირის მიერ გაფრთხილების მიღებიდან 1 წლის განმავლობაში მსგავსი/ანალოგიური ხასიათის დარღვევის ჩადენას (მაგ.: პირმა არ გადაიხადა რეგულირების საფასური, კომისიის გადაწყვეტილებით მას მიეცა წერილობითი გაფრთხილება. აღნიშნული გაფრთხილების მიღებიდან 1 წლიან პერიოდში თუ პირმა კვლავ არ გადაიხადა რეგულირების საფასური) და არა ზოგადად ნებისმიერი დარღვევის ჩადენას (მაგ: თუ პირს რეგულირების საფასურის გადაუხდელობის გამო, მიეცა წერილობითი გაფრთხილება. გაფრთხილებიდან 1 წლის განმავლობაში კი მანვე გაავრცელა, კანონით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევით, არასრულწლოვნისათვის შეუფერებელი პროგრამა. ამ შემთხვევაში პირს არ დაეკისრება უფრო მკაცრი ხასიათის სანქცია, რადგან მან მართალია, წერილობითი გაფრთხილების მიღებიდან 1 წლის განმავლობაში ჩაიდინა დარღვევა (ზოგადად), მაგრამ აღნიშნული არ ყოფილა იგივე/მსგავსი ხასიათის, რაც მანამდე ჩადენილი). შესაბამისად, „ახალი დარღვევის“ ჩადენა განიმარტება, როგორც 1 წლიან პერიოდში, იმავე პირის მიერ, მსგავსი/ანალოგიური დარღვევის ჩადენა.<sup>26</sup>

### *გ) ლიცენზიის მოქმედების შეჩერება / ლიცენზიის გაუქმება / ავტორიზაციის შეჩერება*

„მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონით კომისიას მინიჭებული აქვს უფლებამოსილება, ლიცენზიის მფლობელის მიმართ სანქციის სახით გამოიყენოს ლიცენზიის მოქმედების შეჩერება. ლიცენზიის მოქმედების შეჩერება ნიშნავს ლიცენზიით ნებადართული საქმიანობის აკრძალვას ლიცენზიის მოქმედების განახლებამდე. მედიამომსახურების სფეროში ლიცენზიის მფლობელი კი, მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, შეიძლება იყოს მხოლოდ საეთერო რადიომაუწყებელი. აღნიშნული სანქცია ყველაზე ადრე შესაძლებელია გამოყენებული იქნეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა პირი მსგავსი/ანალოგიური დარღვევისათვის წერილობით გაფრთხილებულია, ასევე, დაკისრებული აქვს არანაკლებ ერთი ჯარიმა.

როგორც წესი, ლიცენზიის მოქმედება ჩერდება ლიცენზიის მფლობელის მიერ შესაბამისი დარღვევის აღმოფხვრამდე, მაგრამ კანონი ადგენს ლიცენზიის შეჩერების მაქსიმალურ - 3 თვიან ვადას, რომლის ათვლაც იწყება კომისიის მიერ ლიცენზიის შესახებ გადაწყვეტილების მიღების დღიდან.

ლიცენზიის გაუქმება, ლიცენზიის მოქმედების შეჩერებასთან შედარებით, არის უფრო მკაცრი სანქციის სახე. კერძოდ, თუ ლიცენზიის მოქმედების შეჩერება (ლიცენზიით ნებადართული საქმიანობის აკრძალვა) განსაზღვრულ პერიოდს უკავშირდება და პირის მიერ დარღვევის აღმოფხვრის შემთხვევაში შესაძლებელია მისი მოქმედების განახლება, ლიცენზიის გაუქმების შემთხვევაში ამგვარი განახლება არ დაიშვება (პირმა უნდა მიმართოს კომისიას ახალი სალიცენზიო განაცხადით და ხელახლა მიიღოს მონაწილეობა სალიცენზიო კონკურსში).

---

<sup>26</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 26 დეკემბრის გადაწყვეტილება (საქმე №ბს-177-170(კ-13)).

სანქციის ერთ-ერთი სახეა ავტორიზაციის შეჩერება, ავტორიზებული პირი კი არის კომისიის მიერ კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებული ნებისმიერი სამეწარმეო ან არასამეწარმეო იურიდიული პირი, რომელიც მედიამომსახურების (გარდა საეთერო რადიომაუწყებლობისა) და ვიდეოგაზიარების პლატფორმის მომსახურების მიწოდებას ახორციელებს. ავტორიზაციის შეჩერება არის ისეთივე სიმკაცრის სანქცია, როგორც ლიცენზიის მოქმედების შეჩერება. შესაბამისად, მისი გამოყენებისთვის საჭიროა არსებობდეს ყველა ის პირობა, რაც ლიცენზიის მოქმედების შეჩერებისათვის არის გათვალისწინებული (ავტორიზებული პირის მიმართ იგივე/მსგავსი დარღვევისთვის უკვე გამოყენებულია წერილობითი გაფრთხილება და ჯარიმა). სანქციის სახით ლიცენზიის მოქმედების შეჩერების/გაუქმების, ავტორიზაციის შეჩერების გამოყენება უაღრესად ინტენსიურად ზღუდავს ავტორიზებული/ლიცენზიის მფლობელი პირის უფლებებს და მიიჩნევა განსაკუთრებით მკაცრი პასუხისმგებლობის ზომად. შესაბამისად, აღნიშნული სანქციის სახეს კომისია მიმართავს უკიდურეს შემთხვევებში, როდესაც დგინდება, რომ სხვა უფრო ნაკლებად მზღუდავი პასუხისმგებლობის ზომის (ჯარიმის) გამოყენებით ვერ იქნება მიღწეული სანქციის მიზნები.

სანქციის სახით ლიცენზიის/ავტორიზაციის მოქმედების შეჩერების, ლიცენზიის გაუქმების ღონისძიების გამოყენება ხდება მხოლოდ საჯარო ადმინისტრაციული წარმოების გზით. კანონმდებლობა საჯარო ადმინისტრაციული წარმოებისათვის უფრო მეტ პროცედურულ მოთხოვნებს ითვალისწინებს, ვიდრე სხვა ადმინისტრაციული წარმოებისთვის, კერძოდ, საჯარო ადმინისტრაციული წარმოებისას ხდება ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტის მომზადება და მისი საჯარო გაცნობისთვის წარდგენა, პროექტი ქვეყნდება გადაწყვეტილების მიღებამდე არანაკლებ 20 სამუშაო დღით ადრე, ასევე, ყველას აქვს უფლება კომისიას ზეპირად ან წერილობით წარუდგინოს საკუთარი მოსაზრება. აღნიშნული, თავის მხრივ, განპირობებულია მოცემული სანქციის მეტად მზღუდავი ხასიათით.

### *3.2. პასუხისმგებლობის ზომის ინდივიდუალური განსაზღვრა*

„მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონი ჯარიმის მხოლოდ მინიმალურ და მაქსიმალურ ოდენობას ადგენს, შესაბამისად, კომისიას, ამ ზღვრის ფარგლებში, ინდივიდუალურად შეუძლია განსაზღვროს ჯარიმის ოდენობა საქმეში არსებული გარემოებების შეფასების საფუძველზე. გარდა ამისა, კანონით განსაზღვრულია, რომ ერთი წერილობითი გაფრთხილებისა და დაჯარიმების შემდეგ კომისია ასევე უფლებამოსილია გამოიყენოს ავტორიზაციის/ლიცენზიის შეჩერება. შესაბამისად, კომისიას კანონმდებლობით მინიჭებული აქვს დისკრეციული უფლებამოსილება, ერთი მხრივ, ჯარიმის ოდენობის განსაზღვრასთან, ხოლო, მეორე მხრივ, ჯარიმის ნაცვლად ლიცენზიის/ავტორიზაციის შეჩერების ღონისძიების გამოყენებასთან დაკავშირებით

თითოეული ადმინისტრაციული წარმოება მიმდინარეობს კონკრეტულ ფაქტზე დაყრდნობით, კონკრეტული სუბიექტის მიმართ. შესაბამისად, აუცილებელია, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, ერთობლიობაში შეფასდეს კანონდარღვევის სიმძიმე,

ხანგრძლივობა და დარღვევით გამოწვეული ზიანი, ქმედების დამამძიმებელი ან/და შემამსუბუქებელი გარემოებები. ამასთან, არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს წინასწარ ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთები. კერძოდ, კომისია კანონით დადგენილი მინიმალური და მაქსიმალური ზღვრის ფარგლებში პასუხისმგებლობის ზომას განსაზღვრავს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში და წინასწარ არ არის დადგენილი, რომელი შემამსუბუქებელი ან დამამძიმებელი გარემოება პროცენტულად როგორ აისახება საბოლოო პასუხისმგებლობის ზომის სიმკაცრეზე.

კომისია პასუხისმგებლობის დაკისრებისას აფასებს საქმის ყველა არსებით ფაქტორზე გარემოებას, რათა დაადგინოს დარღვევის შესაფერისი და პროპორციული პასუხისმგებლობის ზომა. როგორც აღინიშნა, პასუხისმგებლობის დაკისრების ძირითადი მიზანი პრევენციაა. შესაბამისად, პასუხისმგებლობის ზომა დარღვევის სიმძიმის გათვალისწინებით უნდა იყოს საკმარისად მკაცრი, რათა იმოქმედოს, როგორც ეფექტურმა მექანიზმმა, რომელიც წაახალისებს პირის მიერ საკუთარი ქმედებების კანონის ჩარჩოებში მოქცევას. კომისია სანქციის შემაკავებელი ეფექტის განსაზღვრისას ასევე ითვალისწინებს ლიცენზიის მფლობელი/ავტორიზებული პირის სიდიდეს და შემოსავლის ოდენობას.

შესაძლებელია, მხედველობაში მიღებული (მისაღები) ფაქტორები თითოეულ საქმეზე განსხვავებული იყოს. პოტენციურად რელევანტური ფაქტორებია:

- დარღვევის სერიოზულობა და ხანგრძლივობა;
- მიყენებული ან პოტენციური ზიანის ხარისხი;
- დარღვევის შედეგად ავტორიზებული/ლიცენზიის მფლობელი პირის მიერ მიღებული სარგებელი (მატერიალური და არამატერიალური);
- ავტორიზებული/ლიცენზიის მფლობელი პირის მიერ დარღვევის თავიდან ასაცილებლად გატარებული ღონისძიებები;
- დარღვევა ჩადენილია განზრახ თუ გაუფრთხილებლობით;
- გაატარა თუ არა ავტორიზებულმა/ლიცენზიის მფლობელმა პირმა ღონისძიებები დარღვევით გამოწვეული ზიანის შესამცირებლად/აღმოსაფხვრელად;
- ფიქსირდება თუ არა ავტორიზებული/ლიცენზიის მფლობელი პირის მიერ წარსულში იდენტური/მსგავსი დარღვევის ჩადენა;
- ავტორიზებულმა/ლიცენზიის მფლობელმა პირმა რაიმე ფორმით ითანამშრომლა თუ არა კომისიასთან დარღვევის გამოვლენისა და პასუხისმგებლობის დაკისრების პროცესში.<sup>27</sup>

---

<sup>27</sup> ob. Penalty guidelines, Ofcom, 2017, [https://www.ofcom.org.uk/data/assets/pdf\\_file/0022/106267/Penalty-Guidelines-September-2017.pdf](https://www.ofcom.org.uk/data/assets/pdf_file/0022/106267/Penalty-Guidelines-September-2017.pdf)